მართლმსაჯულების სისტემის მიმართ არსებული დამოკიდებულება საქართველოში	იანვარი 24 2012

წინამდებარე კვლევა ჩატარდა ამერიკელი ხალხის მიერ გაწეული გულისხმიერი დახმარების შედეგად, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მეშვეობით განხორციელდა (USAID). კვლევის შინაარსი კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) პასუხისმგებლობის სფეროა და არ წარმოადგენს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ან აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის შეხედულებებს (EWMI).

წინამდებარე ანგარიშის დედანი ინგლისურ ენაზეა წარმოდგენილი და იგი უნდა იქნას გამოყენებული სახელმძღვანელო ვერსიად. ანგარიშის ქართულენოვანი თარგმანი მრავალჯერ იქნა შემოწმებული, თუმცა ნებისმიერი სახის უზუსტობის აღმოჩენის ან რაიმე სახის შეთავაზების შემთხვევაში, გთხოვთ, მიმართოთ კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრს მოცემულ ელექტრონულ მისამართზე: nana@crrccenters.org.

1) შესავალი

2003 წლიდან მოყოლებული, ბევრი რამ გაკეთდა საქართველოს სასამართლო სისტემის რეფორმირებისათვის - იუსტიციის უმაღლესი სკოლის დაარსებითა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მნიშვნელოვანი რეფორმირებით დაწყებული და მართლმსაჯულების სისტემისა და პროკურატურის პერსონალის მნიშვნელოვანი ცვლილებით დასრულებული. მიუხედავად ამისა, წარმატებებს თან ახლავს გარკვეული შეშფოთება, განსაკუთრებით კი სასამართლოს დამოუკიდებლობის საკითხთან მიმართებაში. საერთაშორისო ორგანიზაციები, დაწყებული ევროპის საბჭოთი და აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტით დასრულებული, სისტემის რეფორმირების გაგრძელებისაკენ უბიძგებენ ქართულ მხარეს. ამასთან, ქვეყნის შიგნით აღნიშნული საკითხი საკმაოდ პოლიტიზირებულია იმის გათვალისწინებით, რომ მთავრობა სასამართლო რეფორმის წარმატებულობას უსვამს ხაზს, ხოლო ოპონენტები იმ ხარვეზზე მიუთეთებენ, რომელსაც სისტემაში ჯერ ისევ არსებულ დამოუკიდებლობის ნაკლებობაში ხედავენ.

ამის მიუხედავად, ნაკლებად არის შესწავლილი თუ თავად საქართველოს მოსახლეობა როგორ აფასებს სასამართლო სისტემას. სწორედ ამის გათვალისწინებით დაუკვეთა აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტმა (EWMI) კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრს (CRRC) კომპლექსური კვლევის ჩატარება, რომელიც სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების გამოვლენას ისახავდა მიზნად. გამოკითხვის, ფოკუსური ჯგუფებისა და ინტერვიუების კომბინაციის მეშვეობით, კვლევამ წარმოაჩინა მნიშვნელოვანი მიგნებები, რომლებიც რაოდენობრივ და ხარისხობრივ შედეგებს ეყრდნობა.

ამგვარად, ანგარიში მოიცავს ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ კვლევას, რომელიც მიზნად ისახავდა მართლმსაჯულების სხვადასხვა ასპექტების მიმართ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულების გამოვლენას და დამატებითი ინფორმაციის მოძიებას. კვლევაში, რომელიც 2011 წლის 14 მაისიდან 5 ივნისის ჩათვლით მიმდინარეობდა, 4, 318 ადამიანმა მიიღო მონაწილეობა, ხოლო კვლევის ცდომილების ზღვარმა 4% შეადგინა.

გამოკითხვის გარდა თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში 25 ფოკუსური ჯგუფი ჩატარდა, 2011 წლის 16 მარტიდან 3 აპრილის ჩათვლით. თითოეულ ფოკუსურ ჯგუფში დაახლოებით 8-10 ადამიანი მონაწილეობდა. თითოეულ ქალაქში ოთხი ფოკუსური ჯგუფი მოეწყო, რომელშიც ადგილობრივი საზოგადოების წევრებმა მიიღეს მონაწილეობა. ორი ფოკუსური ჯგუფი ჩატარდა იმ ადამიანების მონაწილეობით, რომელთაც სასამართლო სისტემასთან ურთიერთობის გარკვეული გამოცდილება ჰქონდათ, ხოლო დანარჩენ ორ ჯგუფში იმ მოქალაქეებმა მიიღეს მონაწილეობა, რომლებიც სამართლის სფეროში პროფესიული თვალსაზრისით მოღვაწეობენ. თბილისში დამატებითი ფოკუსური ჯგუფი ჩატარდა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. თითოეული ასეთი ჯგუფის მსვლელობისას, მოდერატორი, იყენებდა წინასწარ მომზადებულ გზამკვლევს დისკუსიის წარმართვისათვის. ფოკუსური ჯგუფების ასეთი სქემა სპეციალურად იქნა შემუშავებული იმისათვის, რომ თვალნათლად წარმოჩენილიყო საქართველოს სხვადასხვა კუთხის მაცხოვრებლების მიერ მართლმსაჯულების აღქმა და მისადმი დამოკიდებულება. კვლევის მეთოდოლოგიისა და ფოკუსური ჯგუფების შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია დანართში.

კვლევის დამასრულებელი კომპონენტი იყო 38 ჩაღრმავებული ინტერვიუ იურიდიული სფეროს გამოცდილ სპეციალისტებთან, რომელიც 2011 წლის 24 მარტიდან 14 აპრილის ჩათვლით ჩატარდა. რესპონდენტთა შორის იყვნენ მოსამართლეები, მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეები და ადვოკატები სამართლის ყველა სფეროდან.

წინამდებარე ანგარიშის მიზანს წარმოადგენს კვლევითი კომპონენტების შედეგების შერწყმა, რათა მიღებულ იქნას დასრულებული სურათი, რომელიც ასახავს საზოგადოების დამოკიდებულებას საქართველოს სასამართლო სისტემის მიმართ. იმედია, ქვემოთ მოცემული მიგნებები დახმარებას გაუწევს კონსტრუქციული დებატების წარმართვას იმ მიმდინარე საქმიანობის შესახებ, რომელიც საქართველოს სასამართლო სისტემის გაუმჯობესებასა და რეფორმირებას ემსახურება.

2) კვლევის მიგნებები

აღქმა: მართლმსაჯულება გაუმჯობესდა 2003 წლის შემდეგ, თუმცა გარკვეული სკეპტიციზმი მაინც არსებობს

გამოკითხული მოსახლეობის უმეტესობა მიიჩნევს, რომ სასამართლო სისტემა, 2003 წლიდან მოყოლებული, გაუმჯობესდა. გამოკითხულთა 18%-ს სჯერა, რომ სასამართლო, ადრინდელთან შედარებით, ბევრად უკეთესად მუშაობს, ხოლო 46% მიიჩნევს, რომ სასამართლოების მუშაობა შედარებით გაუმჯობესდა. მოსახლეობის მხოლოდ 7% აცხადებს, რომ სიტუაცია 2003 წლის შემდგომ ბევრად გაუარესდა.[1] მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა ფიქრობს, რომ სიტუაცია გაუმჯობესდა, მათ მიერ სიტუაციის აღქმა განსხვავდება რეგიონების მიხედვით. ქუთაისის მოსახლეობის სამი მეოთხედი აცხადებს, რომ სასამართლოები უკეთ მუშაობენ, რაც გაცილებით აღემატება, ქვეყნის დანარჩენ ნაწილებში გამოკითხულთა მოსაზრებას. ბათუმის, სხვა ქალაქებისა და სოფლის მოსახლეობის ორი მესამედი მიიჩნევს, რომ სასამართლოების მუშაობა გაუმჯობესდა. თბილისში გამოკითხული მოქალაქეები ოდნავ უფრო იშვიათად აცხადებენ, რომ სასამართლოების საქმიანობა გაუმჯობესდა - ასეთი პასუხი გასცა გამოკითხულ თბილისელთა 57-მა პროცენტმა.

[1] *იხილეთ ცხრილი №1 27-ე გვერდზე*



როგორც ჩანს შეხედულება იმის შესახებ, რომ სასამართლოები უკეთ მუშაობენ კავშირშია საერთო პროგრესის აღქმასთან. ისინი, ვინც ფიქრობენ, რომ საქართველოში დემოკრატია არსებობს (გამოკითხული მოსახლეობის 46%)[2] ასევე მიდრეკილნი არიან მიიჩნიონ, რომ სასამართლოების მუშაობა გაუმჯობესდა: ასე ფიქრობს გამოკითხულთა 81% იმ რესპონდენტების 47%-თან შედარებით, რომელთაც საქართველო არ მიაჩნიათ დემოკრატიულ ქვეყნად.[3] გარდა ამისა, მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ენდობა რუსთავი 2-ისა და ტელეიმედის სატელევიზიო არხებს და ზოგადად, სიმპატიითაა განწყობილი მთავრობის მიმართ, ასევე მიდრეკილია მიიჩნიოს, რომ სასამართლოების მუშაობა გაუმჯობესდა (73% იმ 47%-თან შედარებით, რომელსაც არ სჯერა ამ სატელევიზიო არხების).[4]

ეს შესაძლოა მიუთითებდეს იმაზე, რომ სასამართლოს მუშაობის 2003 წელთან შედარებით დადებითი აღქმა უკავშირდება კიდევ უფრო ზოგად შეგრძნებას, რომ საქართველო, როგორც ქვეყანა წინ მიდის.

სამართლის სფეროს მუშაკების მონაწილეობით ჩატარებულმა ფოკუსურმა ჯგუფებმა და ინტერვიუებმა ასევე ცხადყო, რომ არსებობს მყარი შეხედულება იმის შესახებ, რომ მართლმსაჯულება შესამჩნევად გაუმჯობესდა. ინტერვიუებისა და ფოკუსური ჯგუფების მიმდინარეობისას, რესპონდენტების ნაწილმა დაასახელა სისტემის რამოდენიმე კონკრეტული გაუმჯობესებული კომპონენტი. ყველაზე ხშირად ნახსენები იყო

[2] *იხილეთ ცხრილი №2 27-ე გვერდზე*
[3] *იხილეთ ცხრილი №3 27-ეგვერდზე*
[4] *იხილეთ ცხრილი №4 28-ე გვერდზე*

ცვლილება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში, სადაც უმრავლესობას ამჟამად მოსამართლეები შეადგენენ და ის ფაქტი, რომ პრეზიდენტი აღარ თავმჯდომარეობს საბჭოს. ამ ჯგუფების მონაწილეებმა ასევე აღნიშნეს, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ წარმატებული ნაბიჯები გადადგა წინსვლისაკენ. რესპონდენტთა უმრავლესობა დაეთანხმა იმ მოსაზრებას, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის რეფორმირება ჯერ არ დასრულებულა და მუშაობა ამჟამადაც მიმდინარეობს, ხოლო ერთ-ერთმა რესპონდენტმა დარწმუნებით განაცხადა, რომ "ყველა ის ფუნქცია, რომელიც ადვოკატთა ასოციაციას აქვს, ამუშავდა და ამის შედეგს ძალიან მალე იგრძნობს თვითონ მართლმსაჯულების სისტემა, მაქსიმუმ 6 თვეში იქნება ხელშესახები."

მოსამართლეების მიერ ქრთამის აღების აღმოფხვრა ის მნიშვნელოვანი ასპექტია, რომელიც ინტერვიუების, ფოკუსური ჯგუფებისა და კვლევის შედეგებში განსაკუთრებით გამოიკვეთა. ფოკუსურ ჯგუფებში მონაწილე ადამიანები, რომელთაც ბოლო დროს სასამართლოსთან შეხების გამოცდილება ჰქონდათ, ამტკიცებდნენ, რომ მექრთამეობა ძირფესვიანად იქნა აღმოფხვრილი და არც ერთ მათგანს არ დაუსახელებია მექრთამეობა, როგორც სასამართლო პროცესების ხელისშემშლელი ფაქტორი. "არავინ არ იღებს ქრთამს", განაცხადა ერთმა რესპონდენტმა ქუთაისიდან, რომელსაც სასამართლოსთან ბოლოდროინდელი ურთიერთობის გამოცდილება ჰქონდა. გამოკითხულთა უმეტესობა აცხადებდა, რომ წარსულში ქრთამის აღება ხშირად ხდებოდა, თუმცა ამჟამად ეს პრობლემა აღარ არსებობს. "ამ სიტუაციაში, დღევანდელ სიტუაციაში, გამოირიცხა, მაქსიმალურად გამოირიცხა თანხის, კორუფციული გარიგებით დამოკიდებულება", - განაცხადა ერთ-ერთმა ადვოკატმა, რომელმაც მკაცრად გააკრიტიკა სასამართლო სისტემის სხვა მიმართულებები.

და მაინც, მოსაზრებები ერთსულოვანი არ არის და მოსახლეობის დიდი ნაწილი არ არის დარწმუნებული საკუთარ პოზიციაში. მაგალითად, გამოკითხული მოსახლეობისათვის ნაკლებად სარწმუნოა, რომ მექრთამეობა აღმოფხვრილია. მაშინ როდესაც, გამოკითხულთა 40% მიიჩნევს, რომ მოსამართლეები ქრთამს არ იღებენ, თითქმის იმავე რაოდენობის (37%) მოქალაქეები ამბობენ, რომ არ იციან ეს ასეა თუ არა, ხოლო 13%-ის განცხადებით მოსამართლეები ქრთამს იღებენ.[5]

ასოციაციები, რომელიც მოსახლეობას სასამართლო სისტემასთან დაკავშირებით აქვს, ასევე, წარმოაჩენს გაურკვევლობასა და ორჭოფობას იმასთან დაკავშირებით, თუ რა მასშტაბით განხორციელდა სასამართლო სისტემის გაუმჯობესება. როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, არსებობს გავრცელებული მოსაზრება, რომ სასამართლო სისტემის საქმიანობა გაუმჯობესდა 2003 წლის შემდგომ და მაინც, ხალხის მიერ მართლმსაჯულების სისტემის შეფასება გამოკვეთილად პოზიტიური არ არის და რიგ შემთხვევებში მკვეთრად წინააღმდეგობრივია. მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა 20% "სამართლიანობასა და სიმართლეს" აკავშირებს მართლმსაჯულებასთან, ხოლო 19% "სასამართლოსა და მოსამართლეებს" აიგივებს მასთან - მოქალაქეთა მნიშვნელოვან ნაწილს კვლავაც უარყოფითი ასოციაციები აქვს. გამოკითხულთა 9% "უსამართლობას" პირდაპირ აკავშირებს საქართველოში არსებულ მართლმსაჯულებასთან, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ მოქალაქეთა ნაწილი კვლავაც ღრმა სკეპტიციზმით არის გამსჭვალული სასამართლო სისტემის მიმართ.[6]

[5] *იხილეთ ცხრილი №5 28-ე გვერდზე*
[6] *იხილეთ ცხრილი №6 29-ე გვერდზე*

მართლმსაჯულების ასეთი წინააღმდეგობრივი ასოციაციური აღქმა გამოიკვეთა ფოკუსური ჯგუფების მუშაობისას და გამოიხატა საზოგადოების წევრებისა და იმ მონაწილეების მიერ, რომელთაც სასამართლოსთან ურთიერთობის გამოცდილება აქვთ. შეკითხვაზე თუ "რას ნიშნავს მართლმსაჯულების სისტემა თქვენთვის?" ფოკუსური ჯგუფის წევრებმა პასუხად დაასახელეს "სამართლიანობა", "უფლებების დაცვა" და "კანონები და ამ კანონების შესრულება". თუმცაღა, ფოკუსური ჯგუფების მონაწილეების უმეტესობამ ცალსახად აღნიშნა, რომ მათ მიერ ჩამოთვლილი მახასიათებლები შეესაბამება იმას, თუ *როგორი უნდა იყოს* სასამართლო სისტემა, რაც არსებულ რეალობას შესაძლოა სრულიად არ შეესატყვისებოდეს.

გამოკითხული მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც პირდაპირი ან ირიბი შეხება ჰქონდა სასამართლო სტრუქტურასთან ბოლო ორი წლის განმავლობაში, მიდრეკილია უფრო ნეგატიურად შეაფასოს სისტემაში მიმდინარე რეფორმები. გამოკითხულთა ის ნაწილი, რომელსაც სასამართლოსთან ურთიერთობის გამოცდილება აქვს მიიჩნევს, რომ სასამართლოს მუშაობა გაუარესდა 2003 წლიდან (13%), რაც ორჯერ აღემატება იმ ნაწილის პროცენტულ მაჩვენებელს, რომელსაც ასეთი გამოცდილება არ აქვს, მაგრამ იმავე მოსაზრებას ეთანხმება (5%).[7] ასევე, ის მოქალაქეები, რომელთაც სასამართლოსთან ურთიერთობის გამოცდილება აქვთ, მიდრეკილნი არიან მიიჩნიონ, რომ საქართველო არ არის დემოკრატიული ქვეყანა (ასე ფიქრობს სასამართლოსთან ურთიერთობის გამოცდილების მქონე ადამიანთა 48 პროცენტი, რასაც ეთანხმება მსგავსი გამოცდილების არმქონე გამოკითხულთა 36%[8]) და სწამთ, რომ ქვეყანა არასწორი მიმართულებით ვითარდება (26% - 17%-თან შედარებით).[9] მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო გამოცდილების მქონე მოქალაქეები უფრო კრიტიკულად აფასებენ მართლმსაჯულების ამა თუ იმ ასპექტს, ისინი უფრო მყარად არიან დარწმუნებულნი რომ მექრთამეობა აღარ არსებობს, ვიდრე ის მოქალაქეები, რომელთაც სასამართლოსთან ურთიერთობის გამოცდილება არ გააჩნიათ. მაშინ როდესაც 38%-მა იმ ადამიანებისა, რომელთაც არ ჰქონიათ სასამართლოსთან ურთიერთობის გამოცდილება, არ იცის იღებენ თუ არა მოსამართლეები ქრთამს - სასამართლო გამოცდილების მქონე ადამიანების მხოლოდ 28% ფიქრობს ასე. ასევე, ის გამოკითხული მოქალაქეები, რომელთაც სასამართლოსთან შეხების გამოცდილება აქვთ, ასევე მიიჩნევენ, რომ მოსამართლეები არ იღებენ ქრთამს (რაც გამოკითხულთა 43%-ს შეადგენს იმ 39%-თან შედარებით, რომელთაც ასეთი გამოცდილება არ გააჩნიათ).[10]

ერთ-ერთი სფერო, სადაც მოქალაქეები გაუმჯობესების შესაძლებლობას ხედავენ, არის სასამართლოსათვის დამახასიათებელი სიმკაცრე. საქართველოს გამოკითხული მოსახლეობა მხარს უჭერს ისეთ სასამართლო სისტემას, რომელიც შემწყნარებლობას იჩენს მაშინ, როდესაც ეს შესაძლებელია და მათი უმეტესობა მიიჩნევს, რომ არსებული სისტემა გადამეტებულად მკაცრია დამსჯელობითი თვალსაზრისით. გამოკითხულთა 65% ფიქრობს, რომ სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ის საქმის გარემოებანი, და მზად იყოს შეამსუბუქოს განაჩენი დამნაშავის რეაბილიტაციის მიზნით. გამოკითხულთა 27% აცხადებს, რომ სასამართლომ დამნაშავეები ყოველთვის კანონის სრული სიმკაცრით უნდა დასაჯოს.[11] იმ გამოკითხულთა 77%, რომელთაც სასამართლოსთან ურთიერთობის გამოცდილება აქვთ მიიჩნევს, რომ დანაშაულის გარემოებები უნდა იქნას გათვალისწინებული, ხოლო 20% აცხადებს, რომ დამნაშავეები ყოველთვის

[7] *იხილეთ ცხრილი №7 29-ე გვერდზე*
[8] *იხილეთ ცხრილი №8 30-ე გვერდზე*
[9] *იხილეთ ცხრილი №9 30-ე გვერდზე*
[10] *იხილეთ ცხრილი №10 31-ე გვერდზე*
[11] *იხილეთ ცხრილი №11 31-ე გვერდზე*

კანონის სრული სიმკაცრით უნდა ისჯებოდნენ.[12] ბევრი რესპონდენტი და ფოკუსური ჯგუფის მონაწილე მიიჩნევს, რომ სასამართლო სისტემა გადამეტებულად მკაცრია. "ეკონომიური კრიზისის გამო ბავშვი რომ ელემენტარულად "ბულკს" მოიპარავს, ისიც ქურდობისთვის უნდა დაისაჯოს და იგივე დავუშვათ სიძლიერით სანქცია დაედოს, როგორც დავუშვათ ჩვეულებრივი ბავშვი, რომელსაც არანაირი გაჭირვება არა აქვს. აი აქ კი ნამდვილად დიფერენცირება გვჭირდება," - განმარტა ერთ-ერთმა ადვოკატმა.

ეს მიგნებები ცხადყოფს, რომ თუმცა გამოკითხული მოსახლეობის ძირითადი ნაწილიც და სამართლის სფეროს მუშაკებიც მიიჩნევენ, რომ მკვეთრი გაუმჯობესება შეიმჩნევა მართლმსაჯულების საქმიანობაში 2003 წლიდან, ბევრი თანხმდება იმაზე, რომ უფრო მეტის გაკეთებაა საჭირო. "შედარებით რომ კარგია, ეს ფაქტია. ეს პლიუსი იყო რევოლუციის მერე პირველი 3-5 წლის განმავლობაში, დღეს ჩემთვის პლიუსი არ არის, იმიტომ რომ დღეს უფრო მეტს ვითხოვ," - განაცხადა ერთ-ერთმა გამოცდილმა ადვოკატმა. ასევე, არსებობს შეგრძნება, რომ მიუხედავად რეფორმის წარმატებულად მიმდინარეობისა, ეს არის შედარებითი წარმატება 2003 წლამდე არსებული ვითარების გათვალისწინებით და რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ რჩება გასაკეთებელი.

მოსახლეობა არ არის ერთსულოვანი და დარწმუნებული იმაში, თუ რამდენად სანდოა სასამართლო სისტემა და არის თუ არა იგი დამოუკიდებელი

სასამართლოს მიმართ ნდობისა და სისტემის დამოუკიდებლობის შესახებ შეკითხვებს გამოკითხულთა ერთმა მესამედმა ძირითადად დადებითი პასუხი გასცა, ხოლო დაახლოებით მეოთხედმა უარყოფითი. შეხედულებების ასეთ დაყოფას ემატება ორჭოფობის დიდი წილიც: გამოკითხულთა უმეტესმა ნაწილმა ან არ იცის, ან ვერც ერთ მოსაზრებას ვერ ემხრობა საბოლოოდ - არიან თუ არა მოსამართლეები და სასამართლოები დამოუკიდებლები და შეიძლება თუ არა მათი ნდობა.

სასამართლო სისტემის მიმართ ნდობა არსებობს, მაგრამ საკმაოდ შეზღუდული რჩება. გამოკითხულთა დაახლოებით მესამედი ნაწილობრივ ან სრულად ენდობა მოსამართლეებს და დაახლოებით იგივე რაოდენობა (32%) ნაწილობრივ ან სრულად ენდობა სასამართლოს. ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება იმ მოქალაქეების რაოდენობას, რომლებიც საპატრულო პოლიციისადმი (76%)[13], მასწავლებლებისადმი (72%)[14] ან ექიმებისადმი (55%)[15] გამოხატავენ ნდობას. მაშინ როცა, გამოკითხულთა მესამედი ენდობა სასამართლოსა და მოსამართლეებს, მხოლოდ მცირე რაოდენობის ადამიანებმა გამოხატეს აქტიური უნდობლობა. გამოკითხულთა 24% ნაწილობრივ ან საერთოდ არ ენდობა სასამართლოებს და იგივე რაოდენობა არ ენდობა მოსამართლეებს.

თუმცა, სწორედ ორჭოფობაა ის, რაც საუკეთესოდ გამოხატავს ადამიანების დამოკიდებულებას სასამართლოსა და მოსამართლეების მიმართ. გამოკითხულთა 22% არც ენდობა და არც არ ენდობა მოსამართლეებს; დანარჩენმა 20%-მა არ იცის შესაძლებელია თუ არა მოსამართლეების ნდობა[16]. რაც შეეხება სასამართლოებს, გამოკითხულთა ერთმა მეოთხედმა არც ნდობა და არც უნდობლობა გამოხატა მათ

[12] *იხილეთ ცხრილი №12 32-ე გვერდზე*
[13] *იხილეთ ცხრილი №13 32-ე გვერდზე*
[14] *იხილეთ ცხრილი №14 33-ე გვერდზე*
[15] *იხილეთ ცხრილი №15 33-ე გვერდზე*
[16] *იხილეთ ცხრილი №16 33-ე გვერდზე*

მიმართ, მაშინ როდესაც 18%-ს ამ კითხვაზე პასუხი არ ჰქონდა.[17] მაშასადამე, გამოკითხულთა 40%-ზე მეტმა, ანუ უმეტესობამ არც ნდობა და არც უნდობლობა გამოხატა სასამართლოსა და მოსამართლეების მიმართ, ან არ იცოდა შესაძლებელია თუ არა მათი ნდობა – შესაბამისად, გამოკითხულთა ძირითადი ბირთვი არ არის დარწმუნებული.

სასამართლოსა და მოსამართლეების მიმართ ნდობის მაჩვენებელი (%)



გაურკვევლობა იმის შესახებ არიან თუ არა მოსამართლეები დამოუკიდებელნი, ასევე ხაზს უსვამს საზოგადოებაში არსებულ ორჭოფობას და აზრთა გაორებას სასამართლო სისტემის მდგომარეობის მიმართ. გამოკითხულთა 28% სრულიად ან ნაწილობრივ ეთანხმება, რომ მოსამართლეები დამოუკიდებლები არიან, რაც რაოდენობით ოდნავ ჩამოუვარდება იმ 33% პროცენტს, რომელიც მოსამართლეებს ენდობა. აქაც, 21% არც ერთ ამ მოსაზრებას არ ემხრობა, ხოლო 23%-ს პასუხი არ აქვს კითხვაზე; 27% აცხადებს, რომ მოსამართლეები დამოუკიდებელნი არ არიან. ის რესპონდენტები, რომლებიც დადებითად აღიქვამენ საქართველოს განვითარების პროცესს, უფრო პოზიტიურად აფასებენ მართლმსჯულების სისტემას. იმ მოქალაქეთა 47% ვინც მიიჩნევს, რომ საქართველო დემოკრატიული სახელმწიფოა (მათი საერთო რაოდენობა შეადგენს გამოკითხული მოსახლეობის 46%-ს) ასევე ენდობა მოსამართლეებს[18], ხოლო 48% სასამართლოებს[19] – რაც მნიშვნელოვნად აღემატება გამოკითხული ძირითადი მოსახლეობის მაჩვენებელს. მეტიც, იმ გამოკითხულთა თითქმის ნახევარი (48%), რომელიც მიიჩნევს, რომ ქვეყანა სწორი პოლიტიკური კურსით მიდის - ასევე ენდობა სასამართლოებსა და მოსამართლეებს.[20] ეს შესაძლოა

[17] *იხილეთ ცხრილი №17 34-ე გვერდზე*
[18] *იხილეთ ცხრილი №18 34-ე გვერდზე*
[19] *იხილეთ ცხრილი №19 34-ე გვერდზე*
[20] *იხილეთ ცხრილი №20 და №21 35-ე გვერდზე*

მიუთითებდეს იმაზე, რომ სასამართლო სისტემის ნდობა დაკავშირებულია უფრო ფართო მასშტაბის ოპტიმისტურ განწყობასთან, რომელიც ქვეყნის მომავალს შეეხება. მართლაც, გამოკითხულთა ის ჯგუფი, რომელიც მიიჩნევს, რომ საქართველო დემოკრატიული ქვეყანაა, ასევე ფიქრობს, რომ ქვეყანა სწორი პოლიტიკური მიმართულებით მიდის.[21] ისინი, ვინც ენდობა რუსთავი 2-სა და ტელეიმედს, ასევე, მიდრეკილნი არიან ნდობა გამოხატონ პროკურორების[22], პარლამენტისა[23] და სხვა სამთავრობო ინსტიტუციების მიმართ.

რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით აზრს, რომ, ძირითადად, მოსამართლეები საქართველოში დამოუკიდებლები არიან? (%)



როგორც ეს ნაჩვენები იყო წინა ნაწილში, გამოკითხულთა ის ნაწილი, რომელსაც სასამართლოსთან ურთიერთობის გამოცდილება აქვს, ნაკლებად მიიჩნევს, რომ სასამართლოს მუშაობა მკვეთრად გაუმჯობესდა 2003 წლის შემდგომ და უფრო მიდრეკილია იფიქროს, რომ ქვეყანა არასწორი პოლიტიკური მიმართულებით მიდის და რომ საქართველო არ არის დემოკრატიული ქვეყანა. ასევე, ისინი, ვისაც სასამართლოსთან ურთიერთობის გამოცდილება აქვს, ნაკლებად ენდობიან მოსამართლეებსა და სასამართლოებს (29%)[24], ვიდრე ზოგადად მოსახლეობა, ხოლო იმ გამოკითხულთა ნახევარი, რომელსაც სასამართლოსთან ურთიერთობის გამოცდილება აქვს მიიჩნევს, რომ მოსამართლეები მთავრობის ინტერესებს ემსახურებიან[25]. მათი 43% აცხადებს, რომ მოსამართლეები არ არიან დამოუკიდებელნი[26], საერთო მოსახლეობის 26%-თან შედარებით.

[21] *იხილეთ ცხრილი №22 36-ე გვერდზე*
[22] *იხილეთ ცხრილი №23 36-ე გვერდზე*
[23] *იხილეთ ცხრილი №24 37-ე გვერდზე*
[24] *იხილეთ ცხრილი №25 37-ე გვერდზე და ცხრილი №26 38-ე გვერდზე*
[25] *იხილეთ ცხრილი №27 38-ე გვერდზე*
[26] *იხილეთ ცხრილი №28 39-ე გვერდზე*

მოსამართლეებისა და სასამართლოების დამოუკიდებლობის აღქმა და მათ მიმართ არსებული ნდობა განსხვავდება ქვეყნის მასშტაბით და უკავშირდება საერთო მოსაზრებებს საქართველოში არსებული ვითარების შესახებ. ქუთაისის მაცხოვრებლები უფრო მეტად ენდობიან მოსამართლეებსა (38%)[27] და სასამართლოებს (42%)[28], ვიდრე ქვეყნის დანარჩენი მოსახლეობა. ამასთან, ქუთაისის მაცხოვრებლების 39% მიიჩნევს, რომ მოსამართლეები დამოუკიდებელნი არიან.[29] ქუთაისლების ის ნაწილი, რომელმაც ფოკუსურ ჯგუფებში მიიღო მონაწილეობა, ასევე გაცილებით პოზიტიურად აფასებდა მართლმსაჯულებას, ვიდრე თბილისისა და ბათუმის მაცხოვრებლები. ქუთაისლები ასევე უფრო მეტად ენდობიან საზოგადოებრივ ინსტიტუციებს, ვიდრე მთლიანი მოსახლეობა. ზემოთ აღწერილი მოსაზრების გათვალისწინებით, ქუთაისლები მიდრეკილნი არიან მიიჩნიონ, რომ საქართველო დემოკრატიული ქვეყანაა (61%)[30] და რომ საქართველოს სწორი პოლიტიკური კურსი აქვს აღებული (67%)[31]. ასევე, უფრო მეტმა ქუთაისელმა გამოამჟღავნა პრეზიდენტის მიმართ ნდობა (ქუთაისლების 68% - საერთო მოსახლეობის 58%-თან შედარებით).

ქუთაისის მაცხოვრებლებთან საპირისპიროდ თბილისელები *ნაკლებად* ენდობიან სასამართლო სისტემას, და ნაკლებად ეთანხმებიან იმ მოსაზრებას, რომ საქართველო დემოკრატიული ქვეყანაა და რომ სწორი პოლიტიკური კურსი უჭირავს. ყოველივე ეს ამტკიცებს გავრცელებულ მოსაზრებას, რომ თბილისელები ნაკლები სიმპატიით არიან გამსჭვალულნი მთავრობისა და მიმდინარე რეფორმების მიმართ, ვიდრე ქვეყნის სხვა კუთხეში მცხოვრები მოსახლეობა – ეს ასევე ამყარებს დასკვნას, რომ მართლმსაჯულების მიმართ დამოკიდებულება მჭიდრო კავშირშია საქართველოში არსებული ვითარების ზოგად აღქმასთან. მაშინ როდესაც გამოკითხულთა ერთი მესამედი ენდობა მოსამართლეებსა და სასამართლოებს, ეს მაჩვენებელი 25%-მდე ეცემა თბილისის შემთხვევაში როგორც მოსამართლეების[32] ისე სასამართლოების კუთხით (25%).[33] გარდა ამისა, თბილისის მოსახლეობა ნაკლებად ენდობა საქართველოს პრეზიდენტსა[34] და სხვა სახელმწიფო ინსტიტუციებს, რუსთავი 2-სა და ტელეიმედს და ასევე არ ენდობა არცერთ სხვა სატელევიზიო საინფორმაციო წყაროს.

ინტერვიუებისა და ფოკუსური ჯგუფების მიმდინარეობისას, სამართლის სფეროს მუშაკებმა ისაუბრეს მთავრობის მიერ გამოცხადებული "ნულოვანი ტოლერანტობის" შესახებ, რომელიც მათი განცხადებით ძირს უთხრის მოსამართლეების დამოუკიდებლობას და სასამართლო სისტემის მიმართ ნდობას, განსაკუთრებით სისხლის სამართლის დანაშაულის სასამართლო განხილვის შემთხვევებში. სამართლის სფეროს ერთ-ერთი მუშაკის თანახმად, კანონის სიმკაცრემ "მოსამართლეს რეალურად ხელ-ფეხი შეუკრა და აღარ მისცა საშუალება სამართლიანი გადაწყვეტილება გამოეტანა." ფოკუსური ჯგუფების შედეგებმა გამოავლინა, რომ ბევრი ადამიანი გამოტანილ გადაწყვეტილებას გადამეტებულად მკაცრად მიიჩნევს, რაც სისტემის მიმართ ნდობის ჩამოყალიბებას უშლის ხელს. "უნდობლობა, ძირითადად გამოწვეულია

[27] *იხილეთ ცხრილი №29 39-ე გვერდზე*
[28] *იხილეთ ცხრილი №30 40-ე გვერდზე*
[29] *იხილეთ ცხრილი №31 40-ე გვერდზე*
[30] *იხილეთ ცხრილი №32 41-ე გვერდზე*
[31] *იხილეთ ცხრილი №33 41-ე გვერდზე*
[32] *იხილეთ ცხრილი №29 39-ე გვერდზე*
[33] *იხილეთ ცხრილი №30 40-ე გვერდზე*
[34] *იხილეთ ცხრილი №34 და №35 42-ე გვერდზე*

სისხლის სამართლის კატეგორიის საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების შედეგიდან,"- განაცხადა ერთ-ერთმა იურისტმა ბათუმიდან.

თუმცა, საქართველოს მოსახლეობას არა აქვს ერთგვაროვანი და მკაფიო პოზიცია მოსამართლეების დამოუკიდებლობის შესახებ, ისინი მიიჩნევენ, რომ მოსამართლეები სახელმწიფო ინტერესებს ემსახურებიან საზოგადოების ინტერესის საწინააღმდეგოდ. გამოკითხულთა 28% აცხადებს, რომ მოსამართლეები დამოუკიდებლები არიან, ხოლო 39% ფიქრობს, რომ ისინი მთავრობის ინტერესებს ემსახურებიან (მხოლოდ 14% არ ეთანხმება ამ მოსაზრებას).[35] გამოკითხულთა 36% აცხადებს, რომ მოსამართლეები ინდივიდუალური პირების ინტერესზე მაღლა მთავრობის ინტერესებს აყენებენ და მხოლოდ 13% არ ეთანხმება ამ მოსაზრებას[36]. ეს მონაცემები მიუთითებს იმაზე, რომ თუმცა მოსახლეობას მკაფიოდ არ აქვს გამოკვეთილი საკუთარი პოზიცია, ხალხი ნაკლებად არის დარწმუნებული მოსამართლეთა დამოუკიდებლობაში იმ შემთხვევებში, როდესაც საქმეში მთავრობა ერევა.

შეგრძნება, რომ მთავრობა გავლენას ახდენს მოსამართლეებზე, ფოკუსური ჯგუფების მონაწილეთა პასუხებშიც აისახა. მონაწილეთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ პოლიტიკური მოსაზრებები დიდ როლს თამაშობს სასამართლო გადაწყვეტილებებში. ბევრმა მათგანმა გამოთქვა ვარაუდი, რომ თუ ერთ-ერთ მოპასუხე მხარეს რომელიმე სახელმწიფო სტრუქტურა წარმოადგენს, მოსამართლეს ავტომატურად გამოაქვს გადაწყვეტილება მის სასარგებლოდ. რესპონდენტებისა და ფოკუსური ჯგუფების მონაწილეთა დიდმა ნაწილმა გამოთქვა აზრი, რომ მთავრობის გავლენა მოსამართლეებზე არ გამოიხატება პირდაპირი დირექტივების გაცემით. "აქ არ არის საუბარი იმაზე, რომ ვინმე რეკავს მოსამართლესთან", - განაცხადა ერთ-ერთმა ადვოკატმა. ზოგიერთი რესპონდენტი და ფოკუსური ჯგუფის მონაწილე მიიჩნევს, რომ დამოუკიდებლობას თავად მოსამართლეები თმობენ თავისი ნებით. ბევრს მიაჩნია, რომ მოსამართლეობის კანდიდატები ირჩევიან მათი უნარის მიხედვით დაემორჩილონ მთავრობის სურვილს და არ გამოიტანონ მთავრობის ინტერესების საწინააღმდეგო გადაწყვეტილება. ფოკუსური ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილის განმარტებით "შინაგანი თავისუფლება რომ არა აქვთ" ასე იმიტომ ხდება. უფრო მეტიც, რესპონდენტებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ პოლიტიკოსების მიერ საზოგადოებრივი განცხადებების გაჟღერება გავლენას ახდენს სასამართლო პროცესებზე და საფრთხეს უქმნის უდანაშაულობის პრეზუმფციას.

საინტერესოა, რომ ფოკუსური ჯგუფის ის მონაწილენი, რომელთაც სასამართლოსთან ურთიერთობის გამოცდილება აქვთ, ნაკლებად ადანაშაულებენ მთავრობას ან მმართველ პარტიას სასამართლოზე ზეწოლაში და პროკურორებზე მიუთითებენ. ფოკუსური ჯგუფის მონაწილეთა ასეთი დამოკიდებულება გამყარებულია გამოკითხვის შედეგების მიერაც. გამოკითხულთა 7%, რომელიც მიიჩნევს, რომ მოსამართლეები არ არიან დამოუკიდებელნი, ასევე აცხადებს, რომ პროკურორები ახდენენ მათზე გავლენას[37] და ამ მოსაზრებას სასამართლოსთან ურთიერთობის გამოცდილების მქონე რესპონდენტთა 15% ეთანხმება.[38] ასეთი გამოცდილების მქონე მოქალაქეებმა

[35] *იხილეთ ცხრილი №36 42-ე გვერდზე*
[36] *იხილეთ ცხრილი №37 43-ე გვერდზე*
[37] *იხილეთ ცხრილი №38 43-ე გვერდზე*
[38] *იხილეთ ცხრილი №39 44-ე გვერდზე*

თბილისიდან, ქუთაისსა და ბათუმიდან აღნიშნეს, რომ პროკურორები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ მოსამართლეებზე[39].

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოსა და მოსამართლეების მიმართ ნდობის მაჩვენებელი დაბალ ნიშნულზე - 33%-ზეა, ინტერვიუებისა და ფოკუსური ჯგუფების შედეგად გამოვლინდა, რომ სამართლის სფეროს მუშაკთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ ნდობის ეს მაჩვენებელი სინამდვილეში კიდევ უფრო დაბალია. მხოლოდ მცირე რაოდენობით სპეციალისტებმა მისცეს გადაჭარბებული შეფასება მართლმსაჯულების მიმართ არსებულ ნდობას. სამართლის სფეროს ზოგიერთმა მუშაკმა, განსაკუთრებით კი ადვოკატებმა, გამოხატეს მცირე ნდობა სასამართლო სისტემის მიმართ. "რა თქმა უნდა არ ვენდობი სასამართლოს", - განაცხადა ერთ-ერთმა მათგანმა.

საზოგადოება არ არის დარწმუნებული სასამართლოს მიუკერძოებლობაში. მოსაზრებები იყოფა იმის თაობაზე, ახორციელებს თუ არა სასამართლო მართლმსაჯულებას

საქართველოს მოსახლეობა არ არის დარწმუნებული უზრუნველყოფს თუ არა სასამართლო სისტემა მართლმსაჯულების განხორციელებას.

გამოკითხულთა თითქმის მეოთხედი (24%) მიიჩნევს, რომ *ხშირად* უდანაშაულო ადამიანები ისჯებიან. 28% აცხადებს, რომ ხანდახან უდანაშაულო ადამიანებიც ისჯებიან, 21% ფიქრობს, რომ ასეთი ადამიანები იშვიათად ან არასდროს არ ისჯებიან, ხოლო 25%-ს ამ კითხვაზე პასუხი არ აქვს[40]. აზრთა ასეთი დაყოფა იმის შესახებ - ისჯებიან თუ არა უდანაშაულო ადანიანები, მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ მოსახლეობა არ არის დარწმუნებული, რომ სასამართლოებში მართლმსაჯულება ხორციელდება.

აზრები ასევე იყოფა იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ რამდენად სამართლიანები არიან მოსამართლეები გადაწყვეტილების მიღებისას. გამოკითხულთა ერთ მესამედზე მეტი (35%) ეთანხმება აზრს, რომ მოსამართლეები სამართლიანები არიან, ხოლო 19% აცხადებს, რომ არ არიან სამართლიანები. თუმცა, მოსამართლეების მიუკერძოებლობის შესახებ მიღებულ პასუხებში დომინირებს განწყობა, რომელიც არცერთ მხარეს არ იხრება. გამოკითხულთა 27% აცხადებს, რომ მოსამართლეები არც მიკერძოებულნი და არც მიუკერძოებულნი არ არიან, ხოლო დარჩენილ 18%-ს ამ კითხვაზე პასუხი არ აქვს.

[39] *იხილეთ ცხრილი №40 45-ე გვერდზე*
[40] *იხილეთ ცხრილი №41 46-ე გვერდზე*

რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით აზრს, რომ, ძირითადად, მოსამართლეები საქართველოში სამართლიანები არიან?



ეს მიგნებები მეორდება ფოკუსური ჯგუფების შედეგებშიც, რადგანაც მონაწილეთა ნაწილი აცხადებს, რომ ხშირად უდანაშაულო ადამიანები იგზავნებიან ციხეში. სამართლის სფეროს მუშაკებმა აღნიშნეს, რომ არსებობენ "კარგი მოსამართლეები", რომლებიც საკუთარ კარიერას საფრთხის წინაშე აყენებენ და სამართლიანი გადაწყვეტილება გამოაქვთ, მაგრამ მოსამართლეების უმეტესობა შეზღუდულია საკუთარ ქმედებებში და ამის შედეგად ხშირად, უდანაშაულო ადამიანები ისჯებიან. მოსამართლეთა გადაწყვეტილებების სამართლიანობასთან მიმართებაში აზრთა აშკარა დაყოფა გამოვლინდა: იურისტებმაც და სასამართლოსთან ურთიერთობის გამოცდილების მქონე რესპონდენტებმაც მოიყვანეს მაგალითები მოსამართლეთა მიერ მიუკერძოებელი ან უსამართლო გადაწყვეტილებების გამოტანის შესახებ.

საინტერესოა, რომ არსებობს გარკვეული ტიპის შეუსაბამობა მოსამართლეთა სამართლიანობისა და მათი პროფესიონალიზმის შესახებ არსებულ მოსაზრებებს შორის. მოსახლეობას უფრო მეტად სჯერა მოსამართლეების კომპეტენტურობისა, ვიდრე მათი სამართლიანობის.

გამოკითხული მოსახლეობის თითქმის ნახევარი (49%) ეთანხმება და მხოლოდ 9% არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ მოსამართლეები კომპეტენტურნი არიან.[41] ფოკუსური ჯგუფებისა და ინტერვიუების შედეგები ნაწილობრივ ნათელს ჰფენს იმ მიზეზებს, თუ რატომ მიიჩნევს მოსახლეობა მისამართლეებს კომპეტენტურად, მაგრამ ამავე დროს უსამართლოდ. ერთ-ერთი იურისტის განმარტებით: "სამართლიანი თუ სამართლებრივი სხვადასხვაა აბსოლუტურად. შეიძლება მოსამართლის გადაწყვეტილება არ იყოს სამართლიანი, მაგრამ იყოს სამართლებრივი და კანონიერი". "ზოგჯერ გადაწყვეტილება

[41] *იხილეთ ცხრილი №42 46-ე გვერდზე*

სამართლებრივად სწორია, მაგრამ უსამართლოა, იმიტომ რომ თვითონ კანონია უსამართლო," – დასძინა მეორემ. მართლაც, პროფესიონალი იურისტები, რომელთაც ფოკუსურ ჯგუფებში მიიღეს მონაწილეობა, მიიჩნევენ, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს კანონის შესაბამისად, თუმცა ხშირად შესაძლოა თავად კანონი არ იყოს სამართლიანი.

ინტერვიუებისა და ფოკუსური ჯგუფების შედეგად გამოითქვა მოსაზრება, რომ საქართველოს კანონმდებლობაში მოცემული სასჯელების სიმკაცრე ხელს უწყობს უსამართლო მსაჯულების შესახებ აღქმის ჩამოყალიბებას. რესპონდენტთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ კანონმდებლობა ზღუდავს მოსამართლეებს სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაში. "ფაქტიურად მოსამართლეს არ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება თავისი შეხედულებების მიხედვით. ანუ, აქ იგულისხმება თუ მოსამართლე ხედავს, რომ ამა თუ იმ პიროვნებას მართლა ჩადენილი აქვს ეს დანაშაული, მაგრამ მისი პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, მისი შემამსუბუქებელი გარემოებებიდან გამომდინარე, არ არის სავალდებულო გამოყენებული იქნეს ვთქვათ მკაცრი სასჯელი, და მას შეუძლია გამოიყენოს პირობითი სასჯელი. ამ მუხლმა განიცადა ცვლილებები და დღეს მხოლოდ პროკურატურის შუამდგომლობით შეუძლია მოსამართლემ მიიღოს ასეთი გადაწყვეტილება. ანუ, თუ პროკურატურა ასეთი ტიპის შუამდგომლობით არ შედის, მაშინ მოსამართლე დამოუკიდებლად ამ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს," - აღნიშნა ერთმა ადვოკატმა. კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც სასამართლოს მიკერძოებულობის შესახებ მოსაზრების განმტკიცებას ეხმარება არის ის, რომ სასამართლოებში განხილული სისხლის სამართლის საქმეების გამართლებით დასრულებული გადაწყვეტილების რაოდენობა ძალზე მცირეა. ბათუმში მოღვაწე იურისტის განმარტებით: "2005 წლის შემდეგ დღემდე, არც ერთი გამამართლებელი გადაწყვეტილება ქალაქ ბათუმის სასამართლოს არ გამოუტანია, ეგ ნიშნავს, რომ ყველა იქ მოხვედრილი ადამიანი არის დამნაშავე. როგორ შეიძლება ყველა იყოს დამნაშავე?“

არსებობს გავრცელებული განწყობა, რომელიც გამოვლინდა ინტერვიუებისა და ფოკუსური ჯგუფების მიმდინარეობისას, რომ სასამართლოები უფრო მეტად სამართლიან გადაწყვეტილებას იღებენ სამოქალაქო საქმეების განხილვის დროს, როდესაც საქმეში სახელმწიფო ინტერესი არ ფიგურირებს. მიიჩნევა, რომ ადმინისტრაციული საქმეების განხილვა, იშვიათად სრულდება სამართლიანი გადაწყვეტილებით, ხოლო სისხლის სამართლის საქმეები ყველაზე უფრო იშვიათად.

გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობისა და სამართლიანობის აღქმა უფრო მაღალია სამოქალაქო საქმეების განხილვისას, ვიდრე ადმინისტრაციული საქმეების შემთხვევაში. შეკითხვაზე, "თუ რამდენად დამოუკიდებელი და სამართლიანი იქნებოდა მოსამართლე ორ მეზობელს შორის დავის გადაწყვეტისას" (მცირე მნიშვნელობის სამოქალაქო საქმე), 46%-მა განაცხადა, რომ მოსამართლე მიუკერძოებელი იქნებოდა, ხოლო 48% აღნიშნა, რომ მოსამართლე სამართლიან გადაწყვეტილებას გამოიტანდა – გაცილებით მაღალი მაჩვენებელია იმ 28%-თან შედარებით, რომელიც ზოგადად მიიჩნევს, რომ მოსამართლეები დამოუკიდებლები არიან და ასევე, იმ 35%-თან შედარებით, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მოსამართლეები ზოგადად სამართლიანები არიან. უფრო მეტიც, გამოკითხულთა მხოლოდ 7% მიიჩნევს, რომ მოსამართლე არ იქნებოდა დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებისას სამეზობელო დავის თაობაზე, ხოლო 6% აცხადებს, რომ მოსამართლე უსამართლო გადაწყვეტილებას გამოიტანდა[42]. რესპონდენტები ნაკლებად მიიჩნევენ, რომ

[42] *იხილეთ ცხრილი №43 46-ე გვერდზე და ცხრილი №44 47-ე გვერდზე*

ადმინისტრაციული საკითხის განხილვისას გადაწყვეტილება სამართლიანი იქნებოდა, სადაც 30% აცხადებს, რომ მოსამართლე სამართლიანი იქნებოდა, ხოლო 20% აცხადებს, რომ მოსამართლე უსამართლო იქნებოდა[43]. ეს მყარდება ფოკუსური ჯგუფების შედეგად მიღებული მონაცემებით, რომლის მონაწილეთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ იმის ალბათობა უფრო დიდია, რომ სამოქალაქო საქმე დასრულდებოდა სამართლიანი გადაწყვეტილებით, ვიდრე სისხლის სამართლის საქმის განხილვა. ერთ-ერთი რესპონდენტის განმარტებით, როდესაც სასამართლო განიხილავს "ორი უბრალო ადამიანის" საქმეს, გადაწყვეტილება სამართლიანი იქნება. ფოკუსური ჯგუფების შედეგად ასევე გაჟღერდა მოსაზრება, რომ რაც უფრო "მნიშვნელოვანია" და გახმაურებულია განსახილველი საქმე, მით უფრო ნაკლებად რეალურია, რომ იგი სამართლიანი გადაწყვეტილებით დასრულდება. არსებობს მოსაზრება, რომ მოსამართლეს საშუალება აქვს მიიღოს სამართლიანი გადაწყვეტილება, როდესაც მთავრობა არც პირდაპირ და არც ირიბად არ არის დაკავშირებული განსახილველ საქმესთან.

საპროცესო შეთანხმება, რომლის შესახებაც გამოკითხულთა 59%-ს სმენია[44], წარმოადგენს დამატებით ფაქტორს, რომელიც ასევე ახდენს გავლენას მართლმსაჯულების სამართლიანობის აღქმაზე. 42% მიიჩნევს, რომ საპროცესო შეთანხმება აუმჯობესებს სასამართლოს სამართლიანობას, იმ 22%-საგან განსხვავებით, რომელიც მიიჩნევს რომ ეს ზრდის უსამართლობას (16%-მა განაცხადა, რომ არ იცის ამის შესახებ, ხოლო 20%-მა აღნიშნა, რომ ეს არც ზრდის და არც ამცირებს სამართლიანობას).[45] თუმცა, 63% ეთანხმება მოსაზრებას, რომ საპროცესო შეთანხმება ციხიდან თავის დაღწევის კარგი საშუალებაა[46] და მიუთითებს, რომ ამ პრაქტიკის მეშვეობით შესაძლებელია სამართლიანობის გაზრდა, რაც უდანაშაულო ადამიანებს საშუალებას მისცემს თავი დააღწიონ ციხეს, ხოლო დამნაშავეებს პატიმრობის ვადას შეუმცირებს.

ინტერვიუს რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ გამამართლებელი გადაწყვეტილების მცირე რაოდენობის გამო, უდანაშაულო ადამიანები ირჩევენ საპროცესო შეთანხმებას, რაც ძირს უთხრის სისტემის სამართლიანობას. "ძალიან ბევრი ადამიანი ვიცი, ჩემს ირგვლივაც, ვინც აირჩია ამ გზით წასვლა, ერჩივნა თავისუფლება. დაიბრალა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით ისეთი დანაშაული, რაც არ ჩაუდენია, გადაიხადა რაღაც თანხა, გამოვიდა, აქვს პირობითი სასჯელი," – განაცხადა ერთმა რესპონდენტმა. იმ გამოკითხულთა 77%, რომელთაც სმენიათ საპროცესო შეთანხმების შესახებ, მიიჩნევს, რომ ეს პრაქტიკა სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების პროცესს ეხმარება.[47] მართლაც, ბევრმა რესპონდენტმა და ფოკუსური ჯგუფის მონაწილემ გარკვეული უხერხულობით ისაუბრა იმ მოსაზრების შესახებ, რომ ქვეყნის მთავრობა საპროცესო შეთანხმებას, როგორც შემოსავლების წყაროს ისე იყენებს. ეს ასევე გაჟღერდა ფოკუსური ჯგუფების მონაწილეთა მიერაც.

საქართველოს საზოგადოება, ასევე არ არის დარწმუნებული იმაში, არის თუ არა საქმის სასამართლომდე მიტანა მისი ეფექტური გადაწყვეტის საშუალება. შეკითხვაზე, საქმის განხილვის სასამართლოში გადატანის შედეგად გაუარესდებოდა თუ არა მისი შედეგი – 27%-მა უპასუხა, რომ გაუარესდებოდა, ხოლო 24% არ დაეთანხმა ამ

[43] *იხილეთ ცხრილი №45 47-ე გვერდზე*
[44] *იხილეთ ცხრილი №46 47-ე გვერდზე*
[45] *იხილეთ ცხრილი №47 48-ე გვერდზე*
[46] *იხილეთ ცხრილი №48 48-ე გვერდზე*
[47] *იხილეთ ცხრილი №49 49-ე გვერდზე*

მოსაზრებას.[48] აქაც გამოვლინდა გაურკვევლობა: 23% აცხადებს, რომ საქმის სასამართლოში განხილვა არც გააუმჯობესებს და არც გააუარესებს მას, ხოლო 24%-ს პასუხი არ აქვს. აზრთა დაყოფას იმის შესახებ, აუმჯობესებს სასამართლო თუ აუარესებს საქმის მსვლელობას – ასევე, ეპასუხება ფოკუსური ჯგუფების შედეგები. ზოგიერთი მონაწილე აცხადებს, რომ საერთოდ არ ისურვებდა სასამართლოსთან საქმის დაჭერას, მაშინ როდესაც სხვები აცხადებდნენ, რომ სიამოვნებით გადასცემდნენ საქმეს სასამართლოს და დაიცავდნენ საკუთარ უფლებებს.

სასამართლო სისტემასთან ურთიერთობის სურვილის აშკარა ნაკლებობა, ისეთ შემთხვევებშიც კი, როდესაც ეს საქმის მსვლელობას გააუმჯობესებდა, ასევე წარმოჩინდება იმ ფაქტით, რომ გამოკითხულთა 80% სამეზობლო დავას არ გადაწყვეტდა სასამართლო გზით და მხოლოდ 14% ისურვებდა საქმის სასამართლოში განხილვას.[49] გამოკითხული მოსახლეობის თითქმის ნახევარი (48%) ფიქრობს, რომ მოსამართლე ასეთი საქმის განხილვისას სამართლიანი იქნებოდა[50], მაგრამ ოდნავ მეტი ადამიანი (55%) მიიჩნევს, რომ საქმის არაოფიციალური გადაწყვეტა მის სამართლიან დაბოლოებას უზრუნველყოფდა.[51] ეს მიუთითებს, რომ ადამიანები, სამეზობლო დავის გადაწყვეტის შემთხვევაში, სასამართლოს გზით მის მოგვარებას ისეთივე ეფექტურ საშუალებად აღიქვამენ, როგორც ეს კონფლიქტის არაოფიციალური გადაწყვეტა იქნებოდა. ეს ასევე ცხადყოფს მოსახლეობის სურვილს არ იქონიონ არანაირი საქმე სასამართლო სტრუქტურასთან, ისეთი მცირე საქმის დროსაც კი, როგორიც სამეზობლო დავაა.

თუმცა, იმ ადამიანების დამოკიდებულება, რომელთაც გარკვეულწილად რაიმე სახის ურთიერთობა ჰქონდათ სასამართლოსთან ბოლო დროს, გაცილებით დადებით სურათს ხატავს. იმ რესპონდენტთა ნახევარი, რომელთაც თავად აღძრეს საქმე სასამართლოში, ბოლო 2 წლის განმავლობაში, (გამოკითხული მოსახლეობის 4%) ასე მოიქცა იმის გამო, რომ სასამართლო პროცესს სამართლიანად აღიქვამდა, ხოლო მეორე ნახევარმა საქმე სასამართლოს გადასცა, რადგან სასამართლოს გარეშე საქმის გადაწყვეტა შეუძლებელი იყო. მართლაც, მაშინაც კი, როდესაც გადაწყვეტილება რესპონდენტთა სასარგებლოდ არ იყო გამოტანილი, მათი უმეტესობა აცხადებდა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება სამართლიანი იყო. რესპონდენტთა 14% პროცენტს, ბოლო 2 წლის განმავლობაში, სასამართლოსთან ურთიერთობის გარკვეული სახის გამოცდილება ჰქონდა[52] (იქნებოდა ეს უძრავი ქონების შესახებ დავა, ადმინისტრაციული საქმე თუ მკვლელობა) - მათგან 34%-ის შემთხვევაში საქმე მის სასარგებლოდ გადაწყდა, ხოლო 46%-მა საქმე წააგო[53]. მიუხედავად ამისა, მათი ნახევარი (49%) აღიარებს, რომ გადაწყვეტილება სამართლიანი იყო, იმ 33%-თან შედარებით, რომელიც გადაწყვეტილებას უსამართლოდ მიიჩნევს[54].

[48] *იხილეთ ცხრილი №50 49-ე გვერდზე*
[49] *იხილეთ ცხრილი №51 49-ე გვერდზე*
[50] *იხილეთ ცხრილი №52 50-ე გვერდზე*
[51] *იხილეთ ცხრილი №53 50-ე გვერდზე*
[52] *იხილეთ ცხრილი №54 50-ე გვერდზე*
[53] *იხილეთ ცხრილი №55 51-ე გვერდზე*
[54] *იხილეთ ცხრილი №56 51-ე გვერდზე*

ცოდნის შესამჩნევი ნაკლებობა მართლმსაჯულების სისტემის შემადგენლობისა და მუშაობის შესახებ

ბევრ მოქალაქეს არ გააჩნია ცოდნა სასამართლოს მუშაობისა და მართლმსაჯულების სისტემის კომპონენტების შესახებ. მაგალითად, გამოკითხულთა მხოლოდ მეოთხედმა (26%) გასცა სწორად პასუხი კითხვაზე, აქვს თუ არა პრეზიდენტს უფლება დაითხოვოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე[55]. კითხვაზე, აქვს თუ არა უფლება უზენაეს სასამართლოს გააუქმოს სხვა უფრო დაბალი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება – 42%-მა სწორად გასცა პასუხი, რომ მას ეს უფლება აქვს, თუმცა 20%-მა არასწორად გასცა პასუხი, ხოლო 37%-მა პასუხი არ იცოდა.[56] მეტიც, აღმოჩნდა, რომ მართლმსაჯულების მნიშვნელოვანი უწყებების შესახებ ინფორმაცია ხალხის უმეტესი ნაწილისათვის სრულიად უცნობია. მაშინ როცა გამოკითხულთა დიდმა რაოდენობამ დაასახელა პოლიცია და სასამართლო, როგორც მართლმსაჯულებასთან ასოცირებული ინსტიტუცია, მხოლოდ 14%-მა დაასახელა უზენაესი სასამართლო[57].

ფოკუსურმა ჯგუფებმა აჩვენა, რომ საზოგადოების წევრებს მწირი ინფორმაცია აქვთ მნიშვნელოვან სასამართლო ინსტანციებზე, ასევე იმ მეთოდოლოგიაზე, რომლის მიხედვითაც ინიშნებიან და თავისუფლდებიან თანამდებობიდან მოსამართლეები. მაშინ როდესაც, სასამართლოსთან ურთიერთობის გამოცდილების მქონე მონაწილემ შეძლო რამოდენიმე მოსამართლის დასახელება (მათ შორის იმ მოსამართლის სახელისა და გვარის, რომელმაც განიხილა მისი საქმე) არც ერთმა მათგანმა არ იცოდა იმ პროცედურის შესახებ, რომლის მიხედვითაც ესა თუ ის მოსამართლე ინიშნება თუ თავისუფლდება თანამდებობიდან. გამოთქმულ იქნა სხვადასხვა ვარაუდი მათი დანიშვნის შესახებ, ზოგს ეგონა, რომ მოსამართლეებს უზენაესი სასამართლო ნიშნავდა, ზოგს იუსტიციის სამინისტრო ან პრეზიდენტი, ერთმა მონაწილემ ისიც კი განაცხადა, რომ მოსამართლეები "პარტიული ნიშნით" იკავებდნენ ამ თანამდებობას, ხოლო მეორემ თქვა, რომ მოსამართლეებს ირჩევენ. მხოლოდ რამოდენიმე რესპონდენტმა შეძლო პასუხის სწორად გაცემა, რომ მოსამართლეებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ნიშნავს, მას შემდეგ რაც კანდიდატები სპეციალურ გამოცდებს ჩააბარებენ იუსტიციის უმაღლეს სკოლაში.

ასევე დაბალია საზოგადოების ინფორმირებულობა სასამართლოებისა და სასამართლო სექტორის შესახებ. მაშინ როდესაც რამოდენიმე რესპონდენტმა იცოდა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, უზენაესი სასამართლოსა და იუსტიციის სამინისტროს შესახებ, უფრო მეტმა ნაწილმა არ იცოდა საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის, იუსტიციის უმაღლესი სკოლისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესახებ, ხოლო მათ ვინც შეძლო ამ ორგანიზაციების დასახელება, ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა მათ ფუნქციებზე.

თვითონ სამართლის სფეროს წარმომადგენლებიც კი არ ფლობენ სრულ ინფორმაციას მართლმსაჯულების ფორმებისა და ფუნქციების შესახებ. ფოკუსური ჯგუფების შედეგებმა აჩვენა, რომ სამართლის სფეროს ზოგიერთი მუშაკი არ ფლობს ინფორმაციას იმ კრიტერიუმების შესახებ, რომელთა მიხედვითაც ინიშნებიან თუ თავისუფლდებიან მოსამართლეები. ერთ-ერთ მონაწილეს ეგონა, რომ მოსამართლისათვის აუცილებლობას წარმოადგენდა პროკურატურაში მუშაობა,

[55] *იხილეთ ცხრილი №57 52-ე გვერდზე*
[56] *იხილეთ ცხრილი №58 52-ე გვერდზე*
[57] *იხილეთ ცხრილი №59 53-ე გვერდზე*

ნაწილმა კი განაცხადა, რომ პრეზიდენტმა პირადად უნდა შეითანხმოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ წარმოდგენილი თითოეული კანდიდატურა. გარდა ამისა, ბევრმა მათგანმა არ იცოდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფუნქციები, რომელიც იუსტიციის უმაღლესი სკოლის ფუნქციებში აერიათ. ვერც ფოკუსური ჯგუფის მონაწილეებმა და ვერც რესპონდენტებმა ვერ დაასახელეს საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის ფუნქციები. "ეს მოსამართლეთა ასოციაცია არსებობს კიდევ?" იკითხა ერთმა ადვოკატმა, ხოლო მეორემ დასძინა, რომ პირველად ესმის ეს სახელწოდება. მთავრობის წევრებმაც გარკვეული სირთულით დაახასიათეს საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის როლი.

საქართველოს მოსახლეობა მეტადაა გათვითცნობიერებული იურუდიული დახმარების მიმწოდებელთა საკითხში, თუმცა ეს ინფორმირებულობაც გაუმჯობესებას საჭიროებს. გამოკითხულთა 53%-მა იცოდა სახელმწიფოს უფასო იურიდიული დახმარების შესახებ, ხოლო 30%-ს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გაწეული უფასო იურიდიული დახმარების შესახებ სმენია.[58] ის მოქალაქეები, რომელთაც სასამართლოსთან ურთიერთობის გამოცდილება აქვთ, უფრო უკეთ არიან ინფორმირებულნი. ასეთი გამოცდილების მქონე მოქალაქეების 75%-მა იცის სახელმწიფოს უფასო იურიდიული დახმარების შესახებ, ხოლო 43%-მა არასამთავრობო ორგანიზაციების უფასო იურიდიული დახმარების შესახებ[59]. გამოკითხულთა იმ ნაწილის მესამედი, რომელთაც სახელმწიფო დახმარების შესახებ სმენია, აცხადებს, რომ ეს დახმარება სასარგებლოა; ხოლო იმ ნაწილის 41%, რომელთაც არასამათავრობო ორგანიზაციების მიერ უზრუნველყოფილი იურიდიული დახმარების შესახებ სმენია, აცხადებს, რომ იგი სასარგებლოა.



[58] *იხილეთ ცხრილი №60 53-ე გვერდზე და ცხრილი №61 54-ე გვერდზე*
[59] *იხილეთ ცხრილი №62 და №63 54-ე გვერდზე*

ფოკუსური ჯგუფის მონაწილეებმა გარკვეული სკეპტიციზმი გამოხატეს სახელმწიფოს მიერ იურიდიული დახმარების გაწევის შესახებ. ინტერვიუებისა და ფოკუსური ჯგუფების შედეგად გამოვლინდა, რომ ბევრი ადამიანი ეჭვით უდგება სახელმწიფოს მხრიდან იურიდიული დახმარების მიღებას, განსაკუთრებით იმიტომ რომ მას სახელმწიფო ახორციელებს: "იურიდიული დახმარება არის სასჯელაღსრულების ქვეშ. ეს ნიშნავს იმას, რომ მისი დამოუკიდებლობის ხარისხი უკვე ეჭვქვეშ დგას," – აღნიშნა ერთმა ადვოკატმა. სამართლის სფეროს მუშაკთა შორის აზრი დაიყო სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი იურიდიული დახმარების ეფექტურობის შესახებ. ფოკუსური ჯგუფის მონაწილეებმა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გაწეული უფასო იურიდიული დახმარება გაცილებით ეფექტურად შეაფასეს, სახელმწიფოს დახმარებასთან შედარებით, ხოლო სასამართლო გამოცდილების მქონე მოქალაქეები უფრო მეტად კრიტიკულები იყვნენ საკუთარ შეფასებებში. გამოკითხვის მიხედვით გამოირკვა, რომ ბოლო 2 წლის განმავლობაში სასამართლოსთან ურთიერთობის გამოცდილების მქონე მოქალაქეები ნაკლებად ენდობიან არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გაწეულ დახმარებას. მათგან 33%-მა აღნიშნა რომ ასეთი დახმარება სასარგებლო იყო[60] გამოკითხული მოსახლეობის 41%-თან შედარებით.[61]

მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის ერთ-ერთი ასპექტი, რომელმაც ყურადღების დიდი ნაწილი მოიპოვა, არის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება. გამოკითხულთა 56%-ს სმენია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების შესახებ[62], ხოლო 65% მიიჩნევს, რომ ეს ხელს შეუწყობს სამართლიანი გადაწყვეტილების რაოდენობის ზრდას.[63] ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება იყო სასამართლო სისტემის რეფორმირების ერთადერთი ნაწილი, რომელიც ფოკუსური ჯგუფების წევრების მიერ დიდი მონდომებით დასახელდა. უმეტესობამ დადებითი შეფასება გამოხატა თავის დაკვირვეებში, ნაწილმა მას "პიარ-აქცია" უწოდა, ხოლო ნაწილმა გამოთქვა ვარაუდი, რომ ეს ინსტიტუტი საქართველოში ვერ იმუშავებს, რადგან აქ ყველა ერთმანეთს იცნობს – ასეთივე დამოკიდებულება გამომჟღავნდა ინტერვიუების დროსაც.

შესაძლოა, მართლმსაჯულების სისტემის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის არცოდნის მიზეზს წარმოადგენს ის, რომ მოქალაქეების უმეტეს ნაწილს არასოდეს გამოუცდია ან არ ჰქონია უშუალო შეხება სისტემის რომელიმე ფუნქციასთან. გამოკითხულთა მხოლოდ 14%-ს ჰქონდა ირიბი კონტაქტი სასამართლო სტრუქტურასთან, ბოლო 2 წლის განმავლობაში, რაც ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ 14%-ს ჰქონდა სასამართლოსთან ურთიერთობა, ან მათი მეგობარი ან ნათესავი იყო ჩართული სასამართლო პროცესში. გამოკითხულთა სრულ 93%-ს არასოდეს მიუმართავს პოლიციისათვის[64], რომელიც წარმოადგენს ინსტიტუციას, რომელსაც მოქალაქეების 61% ენდობა (საპატრულო პოლიციას გამოკითხულ მოქალაქეთა სამი მეოთხედი ენდობა).[65]

სასამართლო სისტემის შესახებ ინფორმირებულობის სიმცირე გამოწვეულია დაინტერესების ნაკლებობით. მოქალაქეთა 32% აცხადებს, რომ დაინტერესებულნი არიან სასამართლო სისტემით, სხვა 33% კი არ არის დაინტერესებული, ხოლო 28%

[60] *იხილეთ ცხრილი №64 55-ე გვერდზე*
[61] *იხილეთ ცხრილი №65 55-ე გვერდზე*
[62] *იხილეთ ცხრილი №66 55-ე გვერდზე*
[63] *იხილეთ ცხრილი №67 56-ე გვერდზე*
[64] *იხილეთ ცხრილი №68 56-ე გვერდზე*
[65] *იხილეთ ცხრილი №69 56-ე გვერდზე*

არც არის და არც არ არის დაინტერესებული[66]. უფრო მეტად დაინტერესებულნი არიან ის ადამიანები, რომელთაც სასამართლოსთან ურთიერთობის გამოცდილება აქვთ, რაც 49% შეადგენს[67]. უფრო მეტიც, მართლმსაჯულების სისტემასთან დაკავშირებული პრობლემები არ აღიქმება, როგორც გადაუდებელი მნიშვნელობის პირადი საკითხები ყოველდღიურ ცხოვრებაში. კითხვაზე, თუ რა მიაჩნიათ ქვეყნის ყველაზე დიდ პრობლემად, 78% უმუშევრობა დაასახელა, 47%-მა სიღარიბე და მხოლოდ 3%-მა აღნიშნა სასამართლოს დამოუკიდებლობა.[68]

თუმცა, ფოკუსური ჯგუფის შედეგებმა აჩვენა, რომ საზოგადოებამ შესაძლოა უფრო მეტად იაქტიუროს მომავალში. კითხვაზე, თუ რის ცოდნას ისურვებდნენ სასამართლოების შესახებ, რესპონდენტებმა დიდი დაინტერესება გამოამჟღავნეს. "ყველაფერი გვინდა ვიცოდეთ," - განაცხადა ერთმა მონაწილემ თბილისიდან. დანარჩენები დაინტერესდნენ იმით, თუ როგორ ხდება გადაწყვეტილების გამოტანა, ხოლო სხვებმა სასამართლო პროცესზე დასწრების სურვილიც გამოთქვეს, უფრო უკეთ დაკვირვების მიზნით. მონაწილეებმა ასევე აღნიშნეს, რომ მათი მცირე ინფორმირებულობის მიზეზი ასევე არის ის, რომ ძალზე მწირი ინფორმაციაა ხელმისაწვდომი. თითქმის ყველა მონაწილე დაეთანხმა მოსაზრებას, რომ ინფორმაცია სასამართლო რეფორმების შესახებ ტელევიზიით უნდა გადაიცემოდეს, ხოლო ზოგმა საზოგადოებრივი სემინარებისა და "ერთსაათიანი გაკვეთილის იდეა წამოაყენა თითოეულ უბანში". ეს მიუთითებს შემდეგზე, რომ მიუხედავად იმისა, რომ საერთო ინტერესი სასამართლო სისტემისადმი დაბალია, მოსახლეობა გამოხატავს სურვილს მეტი შეიტყოს პროცესის მსვლელობის შესახებ. გარკვეული ტიპის შემეცნებითი პროგრამა შესაძლოა სასარგებლო ბერკეტი გახდეს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და სასამართლო პროცესში ჩართულობისათვის.

იურიდიული სფეროს მუშაკთა მიმართ დამოკიდებულება: სანდო, მაგრამ სუსტი ადვოკატები, გადამეტებულად გავლენიანი პროკურორები და კომპეტენტური, მაგრამ გაუბედავი მოსამართლეები

საზოგადოება განსხვავებულ დამოკიდებულებას ამჟღავნებს ადვოკატის, პროკურორისა და მოსამართლის პროფესიების მიმართ და უფრო მეტი სიმპატიით იხრება ადვოკატის მიმართ. გამოკითხული მოსახლეობის 67%-მა განაცხადა[69], რომ ისურვებდა შვილს სამართლის სფერო აერჩია პროფესიად, ხოლო გამოკითხულთა ამ ნაწილის ძირითადმა ბირთვმა (37%) აღნიშნა, რომ ისურვებდა შვილი ადვოკატი გამხდარიყო, 19%-მა მოსამართლის პროფესია დაასახელა სასურველად, ხოლო 14%-მა პროკურორის პროფესია.

[66] *იხილეთ ცხრილი №70 57-ე გვერდზე*
[67] *იხილეთ ცხრილი №71 57-ე გვერდზე*
[68] *იხილეთ ცხრილი №72 58-ე გვერდზე*
[69] *იხილეთ ცხრილი №73 58-ე გვერდზე*

ჩამოთვლილთაგან რომელს ამჯობინებდით თქვენი შვილის მომავალ პროფესიად?

(შეკითხვა დაესვა იმ რესპოდენტებს, რომელთაც განაცხადეს, რომ მოიწონებდნენ მათი შვილების მიერ იურისტის სპეციალობის არჩევას - 67%)



ფოკუსური ჯგუფებისა და ინტერვიუების შედეგად გამომჟღავნდა, რომ ადვოკატებს აღიქვამენ სანდო, მაგრამ სუსტ სპეციალისტებად. ფოკუსური ჯგუფის მონაწილეთა უმეტესობამ აღნიშნა, რომ უფრო მეტად ისურვებდნენ მათი შვილები ადვოკატები გამხდარიყვნენ, ვიდრე მოსამართლეები ანდა პროკურორები. მონაწილეები ადვოკატის პროფესიას ანიჭებდნენ უპირატესობას, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატთა, როგორც საერთო პროფესიული ჯგუფის კომპეტენცია კითხვის ქვეშ იქნა დაყენებული. ადვოკატების მიმართ კეთილგანწყობა შესაძლოა მომდინარეობდეს იქიდან, რომ ეს პროფესია ნაკლებად ექცევა პოლიტიკური გავლენის ქვეშ, პროკურორისა და მოსამართლის პროფესიებთან შედარებით. შესაძლოა, იგი ასევე მომდინარეობს იმ მოსაზრებისაგან, რომ ადვოკატის მისია არის დაეხმაროს უბრალო ადამიანებს.

ადვოკატების მიმართ საზოგადოების მიერ გამოხატული დიდი კეთილგანწყობის მიუხედავად, ზოგიერთმა რესპონდენტმა და ფოკუსური ჯგუფის მონაწილემ მათი ინსტიტუციური სიძლიერისა და პროფესიული სტანდარტების ხარვეზებზე მიუთითა. ზოგიერთი ადვოკატი თავადაც დაეთანხმა ამ ბრალდებებს. "არიან ისეთი ადვოკატები, რომელთაც საერთოდ უკაცრავად და კოდექსის სისტემა არა აქვთ და განახლებებს არ კითხულობენ... მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც 2003 წელს ამობეჭდილი წიგნით დადიან დღესაც და წარმოდგენა არა აქვთ ცვლილებებზე." სამართლის სფეროს მუშაკთა დიდმა ნაწილმა განაცხადა, რომ საკმაოდ ადვილია ადვოკატის კვალიფიკაციის მიღება და რომ სტანდარტები უფრო მეტად მკაცრი უნდა იყოს, ხოლო ერთმა ადვოკატმა გააჟღერა მოწოდება დისციპლინარული პროცედურების გატარების შესახებ იმ ადვოკატების საწინააღმდეგოდ, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ პროფესიულ და ეთიკურ ნორმებს. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებისათვის საჭირო საკვალიფიკაციო გამოცდები დახასიათებულ იქნა როგორც "ძალზე ადვილი" მონაწილეთა გარკვეული ნაწილის მიერ, რაც თავისთავად აკნინებს ადვოკატთა

რეპუტაციას. ზოგიერთმა გამოთქვა მოსაზრება უფრო მკაცრი, სპეციალიზებული ტესტირების შემოღების შესახებ, ხოლო ერთმა მონაწილემ განაცხადა, რომ ადვოკატობის ყველა მსურველმა უნდა ისწავლოს ეთიკის კოდი კვალიფიკაციის მიღებამდე. ერთმა მაღალი რანგის სპეციალისტმა ხაზი გაუსვა ადვოკატების პროფესიული სტანდარტების გაუმჯობესების მნიშვნელობას და იგი მართლმსაჯულების საერთო გაძლიერების საკითხს დაუკავშირა. "პროფესიაში შესვლა უნდა იყოს ცოტა ძნელი იმაზე უფრო, ვიდრე ეხლა არის და ხარისხზე ეს მოახდენს ნამდვილ გავლენას," - განაცხადა ერთმა ოფიციალურმა პირმა.

ასევე დასახელდა განგრძობითი იურიდიული განათლებისა და ტრენინგის ნაკლებობა – როგორც ამ პროფესიაზე გავლენის მომხდენი ფაქტორი. ერთმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ არსებული განგრძობითი ტიპის განათლებას არა აქვს სისტემატური სახე. მეორე იურისტმა აღნიშნა, რომ კანონმდებლობის სწრაფი ცვლილება განგრძობითი ტიპის ტრენინგებს აუცილებელს ხდის. მან მოუწოდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას განახორციელოს სპეციალური პროგრამა, რომელიც ამ პრობლემას გადაჭრის, ასევე, შეცვალოს ასოციაციაში მისაღები გამოცდები, რათა შესაბამისობაში მოვიდეს ახალ კანონმდებლობასთან.

სამართლის სფეროს მუშაკებმა შერეული მოსაზრებები გამოთქვეს ადვოკატთა ასოციაციის შესახებ და ზოგიერთმა იმ სწრაფ ცვლილებებზე ისაუბრა, რომელიც ასოციაციის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. "იმდენი გაკეთდა ამ მოკლე ხანში," – განაცხადა ერთმა იურისტმა, ხოლო სხვებმა განაცხადეს, რომ ეს ასოციაცია მხოლოდ იმისათვის არსებობს რომ საწევროები შეკრიბოს. გამოკითხულ იურისტთა უმრავლესობა ადვოკატთა ასოციაციის დამოუკიდებლობას ეჭვის ქვეშ არ აყენებს, თუმცა მთავარი საფიქრალი ორგანიზაციის შესაძლებლობები და მისი ორგანიზაციული სიძლიერეა. ასოციაციის მიერ ბოლო დროის გატარებული რეფორმები კარგად იქნა მიღებული. ფოკუსური ჯგუფის რამოდენიმე მონაწილის მიერ დასახელდა "ადვოკატთა სახლი" ქუთაისში და ასევე, უფასო დაზღვევის სქემა. ასოციაციის თავმჯდომარემ ასევე რამოდენიმე დადებითი შეფასება მიიღო ფოკუსური ჯგუფის მონაწილეებისა და რესპონდენტების მხრიდან. იგი იქნა დახასიათებული ადამიანად, "რომელიც მუშაობს ადვოკატთა კორპუსის გაძლიერებისათვის, ყველაფერს აკეთებს ამისათვის", და რომ "ძირითადად მუშაობს ადვოკატთა უფლებების დაცვაზე." თუმცა, რესპონდენტთა გარკვეულმა ნაწილმა გააკრიტიკა ასოციაციის მენეჯმენტი პოლიტიკური განცხადებების გაკეთებისათვის და განაცხადა, რომ ასეთმა ქმედებამ შესაძლოა ადვოკატთა ასოციაცია პროფესიული კავშირიდან უფლებადამცველ ორგანიზაციად აქციოს.

ამის საპირისპიროდ, პროკურორები შეფასდნენ, როგორც მაღალი კვალიფიკაციის მქონე და კარგად ორგანიზებული სპეციალისტები. გამოითქვა ვარაუდი, რომ შესაძლოა, საზოგადოების მხრიდან პროკურორების მიმართ მხარდაჭერის დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია იმ მოსაზრების გამო, რომ პროკურორები გადამეტებული გავლენით სარგებლობენ მოსამართლეებსა და ადვოკატებთან შედარებით. ფოკუსური ჯგუფის რამოდენიმე მონაწილემ, რომელთაც განაცხადეს, რომ მოიწონებდნენ მათი შვილის მიერ პროკურორის პროფესიის არჩევას, ეს შემდეგი არგუმენტით ახსნა: "რადგან პრესტიჟული თანამდებობაა" ან "რადგან ეგენი არიან მბრძანებლები და მათ აქვთ მოსამართლეზე გავლენა." ის მოქალაქეები, რომელთაც სასამართლოსთან ურთიერთობის გამოცდილება აქვთ განსაკუთრებით ნეგატიურად აფასებენ პროკურორებს. მათმა 43%-მა განაცხადა, რომ არ ენდობა პროკურორებს - საერთო

საზოგადოების 25%-თან შედარებით.[70] ფოკუსური ჯგუფების შედეგად გამოვლინდა, რომ არსებობს ფართოდ გავრცელებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ პროკურორები მართავენ სასამართლო პროცესს და არა მოსამართლეები, ხოლო ერთმა მონაწილემ მოსამართლეებს "პროკურატურის ნოტარიუსებიც" კი უწოდა.

მაღალი დონის ტრენინგები, რომელსაც პროკურორები გადიან და მათი შერჩევის კრიტერიუმების სიმკაცრე აღიქმება, როგორც ადვოკატების და შესაბამისად ბრალდებულის არათანაბარ და არახელსაყრელ პირობებში ჩაყენება.

მოსამართლეთა პროფესიონალიზმისადმი დამოკიდებულება ასევე, წინააღმდეგობრივი აზრების გამოთქმით გამოვლინდა. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გამოკითხულთა ნახევარი მოსამართლეების კომპეტენტურობაში დარწმუნებულია, თუმცა უფრო ნაკლებ რაოდენობას სჯერა მათი დამოუკიდებლობისა თუ სანდოობისა. გამოკითხულთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მოსამართლეებს უსამართლო გადაწყვეტილება შიშის გამო გამოაქვთ და მათი მთავარი მოტივატორი თანამდებობის შენარჩუნების სურვილია, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება გადაწყვეტილების გამოტანას. ერთმა ადვოკატმა აღნიშნა, რომ "არაიდენტიფიცირებული შიშის" შედეგად უფრო მეტი უსამართლო გადაწყვეტილება მიიღება, ვიდრე ნებისმიერი სახის პოლიტიკური ზეწოლის შემთხვევაში. "რისი ეშინიათ არ ამბობს არავინ, ამიტომ დავარქვათ ამას არაიდენტიფიცირებული შიშის ფაქტორი. ზოგადად შეშინებულები არიან," –განმარტა მან. რესპონდენტთა გარკვეულმა ნაწილმა, მაგალითად, საერთოდ უარყო მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოსამართლეები რაიმე სახის იძულებას განიცდიან. "მოსამართლეებზე არავითარი ზეწოლა არ არის დღეს. მოსამართლეები მოქმედებენ თავიანთი მორალის და ინტელექტის შესაბამისად... ძალიან დამოუკიდებლად და ძალიან გაბედულად მოქმედებენ. ძალიან თავდაჯერებულები არიან გადაწყვეტილებებში,"-განაცხადა უზენაესი სასამართლოს ერთმა მოსამართლემ.

მოსამართლეების კვალიფიკაციის შესახებ საუბრისას სამართლის სფეროს წარმომადგენლების აზრი ორად გაიყო და ზოგმა მათგანმა აღნიშნა, რომ მოსამართლეებს აკლიათ პროფესიული გამოცდილება, ნაწილმა კი განაცხადა, რომ მოსამართლეებს შესანიშნავი პროფესიული კვალიფიკაცია აქვთ. იუსტიციის უმაღლესი სკოლის მუშაობა უმეტესი ნაწილის მიერ დადებითად შეფასდა, თუმცა ნაწილმა განაცხადა, რომ სკოლის მუშაობის ეფექტურობა გამოვლინდება გარკვეული დროის შემდეგ, როდესაც მისი კურსდამთავრებულები შეუდგებიან სამოსამართლეო საქმიანობის შესრულებას და სკოლის განგრძობითი ტრენინგის პროგრამა ძალაში შევა. ერთ-ერთი გამოცდილი მოსამართლისა და მთავრობის წარმომადგენლის განცხადებით, მოსამართლეების რეპუტაცია და პროფესიული სტანდარტები გაუმჯობესდება მას შემდეგ, რაც მოსამართლეთა კორპუსი განახლდება, თუმცა ამას რამოდენიმე წელი დასჭირდება.

სამართლის სფეროს წარმომადგენლების მიერ კიდევ ერთ პრობლემად დასახელდა მოსამართლის კვალიფიკაციისათვის სავალდებულო ახალგაზრდა ასაკი. "არ შეიძლება ახლა, მაგალითად, 28 წლის ბიჭი არის მოსამართლე," – თქვა ერთ-ერთმა ადვოკატმა. იგივე გაიმეორა ადვოკატთა ასოციაციის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, რომელმაც განაცხადა, რომ "28 წლის ადამიანს არ აქვს ცხოვრებისეული გამოცდილება იმდენი, რომ შეიძლება ვიღაცის ბედი გადაწყვიტოს, რაც არ უნდა კარგი იურისტი იყოს."

[70] *იხილეთ ცხრილი №74 59-ე გვერდზე*

საზოგადოების წევრები, რომლებიც მოსამართლეთა მთლიანი კორპუსის მიმართ გარკვეულ დაეჭვებას გამოთქვამდნენ, ამავე დროს აღტაცებით საუბრობდნენ იმ ცალკეული მოსამართლის შესახებ, რომელთაც პირადად იცნობდნენ და მათ აფასებდნენ ისეთი სიტყვებით როგორიცაა "აღუწერელი პიროვნება", "გადასარევი პიროვნება" და "კარგი პიროვნება." ასევე, რამოდენიმე მათგანმა აღნიშნა, რომ მოიწონებდნენ მათი შვილების მიერ მოსამართლის პროფესიის არჩევას, რადგანაც თუ მოსამართლე დამოუკიდებელია მას შეუძლია სიკეთე მოუტანოს საზოგადოებას და იყოს "გულწრფელი, ამაყი და გაბედული."

3) დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობა სასამართლო სისტემას მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულად მიიჩნევს ბოლო წლების განმავლობაში, ასევე აშკარა ხდება ისიც, რომ საჭიროა დიდი წილი მუშაობის გატარება მისი კიდევ უფრო მეტად გარდაქმნისათვის. გამოკითხულთა უმეტესობა მიუთითებს მექრთამეობის აღმოფხვრასა და მოსამართლეთა კომპეტენციის გაუმჯობესებაზე, როგორც მიღწეულ წარმატებაზე, მაგრამ ამავე დროს არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ სასამართლოზე გავლენას ახდენს მთავრობა და რომ სასამართლო ცალსახად მკაცრია სასჯელის დაწესებისას.

სასამართლო სისტემის სამართლიანობა, მისი სანდოობა და დამოუკიდებლობა შეფასდა საპირისპირო მოსაზრებებით. გამოკითხულთა დაახლოებით ერთი მესამედი ენდობა სასამართლოსა და მოსამართლეებს და მიიჩნევს, რომ ისინი დამოუკიდებლები და სამართლიანები არიან. მიუხედავად იმისა, რომ მათი რაოდენობა აღემატება იმ ნაწილს, რომლებიც არ ენდობიან მოსამართლეებს, ან მათ უსამართლოდ მიიჩნევენ ან აცხადებენ, რომ მოსამართლეები არ არიან დამოუკიდებელნი - გამოკითხულთა ძირითადმა ნაწილმა მაინც არ იცის ამის შესახებ ან ვერ სცემს პასუხს ამ კითხვებზე. ამას ხაზს უსვამს ის ფაქტიც, რომ მოსახლეობა არ არის დარწმუნებული იმაში, რომ სასამართლო დავის გადაწყვეტის ერთადერთი ეფექტური საშუალებაა. უმრავლესობა არ აღძრავდა საქმეს სასამართლოში და გამოკითხულთა უმრავლესობა სასამართლოს გადაწყვეტილებას არ მიიჩნევს იმაზე მეტად სამართლიანად ან უსამართლოდ ვიდრე ეს დავის არაფორმალური გადაწყვეტის შემთხვევაში იქნებოდა.

ორჭოფობა გამოწვეულია სისტემის შესახებ ცუდი ინფორმირებულობის გამო. გამოკითხულთა უმეტესობამ არ იცის სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილის მუშაობის ასპექტების შესახებ, ხოლო დიდი ნაწილი აცხადებს, რომ არ არის დაინტერესებული – ეს არის ფაქტორები, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნის მოსახლეობის საერთო გულგრილ განწყობას სასამართლო სისტემის მიმართ.

სამართლის სფეროს მუშაკთა შეფასებისას აზრი იყოფა და ადვოკატები იღებენ დადებით შეფასებას, მიუხედავად მათი ეფექტურობის შესახებ არსებული ეჭვისა. პროკურორები მოიაზრებიან როგორც ძალზედ გავლენიანი ადამიანები, რომლებიც განუზომელ ზემოქმედებას ახდენენ სასამართლო პროცესზე. მიიჩნევა, რომ მოსამართლე, რომელიც ასევე პრესტიჟულ პროფესიად ითვლება, არასოდეს მიიღებს მთავრობის საწინააღდეგო გადაწყვეტილებას.

საერთო ჯამში, საქართველოს მოსახლეობას სასამართლო სისტემის შესახებ საკმაოდ შერეული და გართულებული წარმოდგენა აქვს. ის მოიცავს მართლმსაჯულების როგორც სუსტ, ასევე ძლიერ მხარეებს, იმ სფეროებს, სადაც გარკვეული რეფორმები წარმატებულად ჩატარდა და იმ ფაქტორებსაც, რომლებიც შემდგომ გაუმჯობესებას საჭიროებენ. ეფექტურობის მიღწევის მიზნით, საჭიროა სისტემის რეფორმირებისას

გათვალისწინებულ იქნას საქართველოს მოსახლეობაში ფართოდ გავრცელებული ორჭოფობა და საზოგადოების დაყოფილი განწყობა.

4) დანართი

დეტალური მეთოდოლოგია: კვლევის დიზაინი და ფოკუსური ჯგუფების ორგანიზება

კვლევა იმგვარად იყო დაგეგმილი, რომ დასკვნების გამოტანა შესაძლებელი ყოფილიყო დამოუკიდებლად თბილისის, ქუთაისისა და ბათუმისათვის ცალ-ცალკე, ასევე სხვა ქალაქებისა და სოფლებისათვის - თითოეულისათვის განცალკევებით და კომბინირებულად; კვლევის ცდომილების საერთო ზღვარმა 4% შეადგინა.

იმის უზრუნველსაყოფად, რომ ქვეყნის ყველა რეგიონს თანაბარი შანსი ჰქონოდა კვლევაში ჩართვისათვის, შემდეგი სტანდარტული შერჩევის მეთოდი იქნა გამოყენებული: "სხვა ქალაქის" და სოფლის მოსახლეობა დაყოფილ იქნა გეოგრაფიული სექტორების მიხედვით (ჩრდილო-აღმოსავლეთი, ჩრდილო-დასავლეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი), "სხვა ქალაქის" და სოფლის ნიმუშები განაწილდა გეოგრაფიული დანაყოფების შესაბამისად და ადგილობრივი მოსახლეობის პროპორციულად, ხოლო შერჩევა მოხდა თითოეული დანაყოფიდან დამოუკიდებლად.

თავდაპირველად, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შერჩეულ იქნა საარჩევნო უბნები, რომელთა სიაც ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ იქნა მოწოდებული. ამის შემდგომ, თითოეული საარჩევნო უბნის შიგნით, ოჯახები იქნა შერჩეული შემთხვევითი შერჩევისა და კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის შემთხვევითი ხეტიალის პრინციპის თანახმად. თითოეული შერჩეული ოჯახის შიგნით რესპონდენტები შერჩეულ იქნენ კიშის (Kish method) მეთოდის გამოყენებით. ისეთ შემთხვევებში, როდესაც ოჯახთან კონტაქტი არ შედგა, ან კონტაქტი შედგა, მაგრამ შერჩეულ რესპონდენტთან გასაუბრება ვერ მოხერხდა – ინტერვიუერი სამჯერ ცდიდა მასთან დაკავშირებას და მხოლოდ ამის შემდგომ მიუთითებდა, რომ ინტერვიუ "პასუხის გარეშეა".

გამოკითხულთა 46% შეადგენს მამაკაცებს, ხოლო 54% ქალებს, რესპონდენტთა 65% დაქორწინებულია, ხოლო 32% დასაქმებული. გამოკითხულთა 28% 35 წლამდე ასაკის მოქალაქეა, 36.5% 35-55 წლამდე, ხოლო 35.5% 55 წლისა და უფრო დიდი ასაკის. 36%-ს საშუალო განათლება აქვს მიღებული, 30% უმაღლეს განათლება აქვს მიღებული, ხოლო 9%-ს არასრული საშუალო განათლება ან უფრო ნაკლები. 39%-მა განაცხადა რომ არ გააჩნია შემოსავლის წყარო, 27%-ის შემოსავალი 100 ლარს შეადგენს, გამოკითხულთა 12% 101-დან 200 ლარამდე გამოიმუშავებს, ხოლო 17% 201 ლარზე მეტს. გარდა ამისა, რესპონდენტების 14% სასამართლოსთან ურთიერთობის გამოცდილება ჰქონდა ბოლო ორი წლის განმავლობაში, რომელიც თავად მას ან მის მეგობარსა და ნათესავს შეეხებოდა.

2011 წლის 16 მარტიდან 3 აპრილის ჩათვლით, თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში საერთო რაოდენობით 25 ფოკუსური ჯგუფი ჩატარდა. თითოეულ ქალაქში 4 ფოკუსური ჯგუფი მოეწყო ადგილობრივი საზოგადოების მონაწილეობით, ორ ჯგუფში იმ მოქალაქეებმა მიიღეს მონაწილეობა, რომელთაც სასამართლოსთან ურთიერთობის გამოცდილება ჰქონდათ და ორი ჯგუფი მიეძღვნა იმ ადამიანებს, რომლებიც სამართლის სფეროში მოღვაწეობენ. თბილისში დამატებითი ფოკუსური ჯგუფი მოეწყო სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. მონაწილეები, იმ ფოკუსური ჯგუფისათვის, რომელშიც ადგილობრივი მოსახლეობა იღებდა მონაწილეობას, შერჩეულ იქნენ თითოეული ქალაქის სხვადასხვა უბნიდან, როგორც ცენტრალური

ასევე, გარეუბნებიდანაც. რეკრუტერი მათ ორ სპეციალურ კითხვას უსვამდა მართლმსაჯულების სისტემის შესახებ მათი ცოდნის შემოწმების მიზნით: ვინ არის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და სად მდებარეობს საკონსტიტუციო სასამართლო. თითოეული ფოკუსური ჯგუფი დაკომპლექტებული იყო ათი მონაწილით: საზოგადოების 4 წევრი, რომელთაც ორთავე კითხვას სწორად გასცეს პასუხი, 4 ადამიანი, რომელთაც 1 კითხვას გასცეს სწორად პასუხი და 2 ადამიანი, რომელთაც ვერც ერთ კითხვას ვერ გასცეს სწორად პასუხი. გარდა ამისა, ფოკუსური ჯგუფების შედგენისას გენდერული და ასაკობრივი ბალანსიც იყო დაცული. ის ფოკუსური ჯგუფები, რომელიც სასამართლოსთან ურთიერთობის გამოცდილების მქონე ადამიანებისათვის მოწყო, 8-დან 12 მონაწილისაგან შედგებოდა. ფოკუსური ჯგუფის საშუალო რაოდენობა 10 ადამიანს შეადგენდა. მონაწილეების მოზიდვა მოხდა საქალაქო სასამართლოებში და ასევე, უფასო იურიდიული დახმარების ბენეფიციართა სიების გამოყენებით, რომელთა მოწოდებაც ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ და "საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს" ორგანიზაციამ უზრუნველყვეს. სამართლის სფეროს წარმომადგენელთა ფოკუსური ჯგუფების მონაწილეები წარმოადგენდნენ იურისტებს, რომლებიც მოღვაწეობენ იურიდიულ ფირმებში, ადვოკატებს, იურიდიული განათლების მქონე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, სამართლის სფეროს ლექტორებსა და დოქტურანტურის სტუდენტებს. იმ ფოკუსურ ჯგუფებში, რომლებიც სამართლის სფეროს სტუდენტებისათვის მოეწყო, თბილისის სამი უნივერსიტეტის ბაკალავრიატის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა. თითოეული ეს ფოკუსური ჯგუფი 8-10 მონაწილისაგან შედგებოდა.

კვლევის მიგნებათა ცხრილები

ცხრილი №1

თქვენი აზრით, 2003 წლის „ვარდების რევოლუციამდე“ არსებულ მდგომარეობასთან შედარებით, ამჟამად ქართული სასამართლოები... (%)	
5 ბევრად უკეთესად მუშაობენ,	18
4 შედარებით უკეთ მუშაობენ,	46
3 ისევე მუშაობენ,	13
2 შედარებით უარესად მუშაობენ,	5
1 თუ ბევრად უარესად მუშაობენ?	2
(არ ვიცი)	17
(უარი პასუხზე)	0

ცხრილი №2

თქვენი აზრით, არის თუ არა ამჟამად საქართველოში დემოკრატია? (%)	
1 დიახ	46
0 არა	37
(არ ვიცი)	16
(უარი პასუხზე)	1

ცხრილი №3

თქვენი აზრით, 2003 წლის „ვარდების რევოლუციამდე“ არსებულ მდგომარეობასთან შედარებით, ამჟამად ქართული სასამართლოები... თქვენი აზრით, არის თუ არა ამჟამად საქართველოში დემოკრატია? (%) ჭრილში		
	დიახ	არა
5 ბევრად უკეთესად მუშაობენ,	28	7
4 შედარებით უკეთ მუშაობენ,	53	40
3 ისევე მუშაობენ,	5	23
2 შედარებით უარესად მუშაობენ,	1	11
1 თუ ბევრად უარესად მუშაობენ?	1	4
(არ ვიცი)	11	15
(უარი პასუხზე)	0	0

ცხრილი №4

თქვენი აზრით, 2003 წლის „ვარდების რევოლუციამდე“ არსებულ მდგომარეობასთან შედარებით, ამჟამად ქართული სასამართლოები... გთხოვთ დაასახელოთ ქართული ტელეარხი, რომლის ინფორმაციასაც ყველაზე მეტად ენდობით, როდესაც საქმე ეხება პოლიტიკისა და, ზოგადად, საქართველოში მიმდინარე მოვლენების გაშუქებას **(%)**ჭრილში		
	ვენდობი რუსთავი 2-ს ან ტელეიმედს	არც ერთს არ ვენდობი
5 ბევრად უკეთესად მუშაობენ,	21	8
4 შედარებით უკეთ მუშაობენ,	52	39
3 ისევე მუშაობენ,	9	20
2 შედარებით უარესად მუშაობენ,	3	8
1 თუ ბევრად უარესად მუშაობენ?	1	3
(არ ვიცი)	14	22
(უარი პასუხზე)	0	0

ცხრილი №5

რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით აზრს, რომ მოსამართლეები საქართველოში ქრთამს იღებენ? (%)	
5 სრულად ვეთანხმები	7
4	6
3	10
2	8
1 საერთოდ არ ვეთანხმები	32
(არ ვიცი)	37
(უარი პასუხზე)	1

ცხრილი №6

რა გახსენდებათ პირველ რიგში, როდესაც გესმით ფრაზა „მართლმსაჯულება საქართველოში“? (%)	
1 სასამართლო, მოსამართლეები	19
2 დანაშაული	9
3 სამართლიანობა, სიმართლე	20
4 პროკურატურა	3
5 უსამართლობა	9
6 ადამიანის უფლებების დაცვა	4
7 ცხოვრება დანაშაულის გარეშე	1
8 პოლიცია, ძალოვანი სტრუქტურები	4
9 დამნაშავეთა დასჯა	4
10 კანონის უზენაესობა, კანონიერება	6
11 ციხე	4
12 სხვა	2
(არ ვიცი)	14
(უარი პასუხზე)	1

ცხრილი №7

თქვენი აზრით, 2003 წლის „ვარდების რევოლუციამდე“ არსებულ მდგომარეობასთან შედარებით, ამჟამად ქართული სასამართლოები... ბოლო ორი წლის მანძილზე, გქონდათ თუ არა თქვენ, თქვენი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს, ან ახლო მეგობარს რაიმე შეხება სასამართლოსთან? **(%)**ჭრილში		
	დიახ	არა
5 ბევრად უკეთესად მუშაობენ,	15	18
4 შედარებით უკეთ მუშაობენ,	45	46
3 ისევე მუშაობენ,	15	12
2 შედარებით უარესად მუშაობენ,	8	4
1 თუ ბევრად უარესად მუშაობენ?	5	1
(არ ვიცი)	12	17
(უარი პასუხზე)	0	0

ცხრილი №8

თქვენი აზრით, არის თუ არა ამჟამად საქართველოში დემოკრატია? ბოლო ორი წლის მანძილზე, გქონდათ თუ არა თქვენ, თქვენი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს, ან ახლო მეგობარს რაიმე შეხება სასამართლოსთან? **(%)**ჭრილში		
	დიახ	არა
1 დიახ	38	47
0 არა	48	36
(არ ვიცი)	13	16
(უარი პასუხზე)	1	1

ცხრილი №9

არსებობს სხვადასხვა მოსაზრება იმის შესახებ, თუ როგორი მიმართულებით მიდის საქართველოს საშინაო პოლიტიკა. ამ ჩამონათვალიდან რომელს ეთანხმებით? ბოლო ორი წლის მანძილზე, გქონდათ თუ არა თქვენ, თქვენი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს, ან ახლო მეგობარს რაიმე შეხება სასამართლოსთან? **(%)** ჭრილში		
	დიახ	არა
5 პოლიტიკა უეჭველად სწორი მიმართულებით მიდის	7	10
4 პოლიტიკა ძირითადად სწორი მიმართულებით მიდის	34	37
3 პოლიტიკა საერთოდ არ იცვლება	19	16
2 პოლიტიკა ძირითადად არასწორი მიმართულებით მიდის	21	15
1 პოლიტიკა უეჭველად არასწორი მიმართულებით მიდის	5	2
(არ ვიცი)	12	18
(უარი პასუხზე)	2	1

ცხრილი №10

რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით აზრს, რომ მოსამართლეები საქართველოში ქრთამს იღებენ? ბოლო ორი წლის მანძილზე, გქონდათ თუ არა თქვენ, თქვენი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს, ან ახლო მეგობარს რაიმე შეხება სასამართლოსთან?(%)ჭრილში		
	დიახ	არა
5 სრულად ვეთანხმები	9	6
4	5	6
3	12	9
2	6	8
1 საერთოდ არ ვეთანხმები	37	31
(არ ვიცი)	28	38
(უარი პასუხზე)	1	1

ცხრილი №11

გთხოვთ, მითხრათ, ამ ორი მოსაზრებიდან რომელს ეთანხმებით? (%) მოსაზრება 1: სასამართლომ ყოველთვის კანონის სრული სიმკაცრით უნდა დასაჯოს დამნაშავეები, რათა მათგან საზოგადოება დაიცვას. მოსაზრება 2: სასამართლომ ზოგჯერ უნდა გაითვალისწინოს დანაშაულის მიზეზები და არ გამოიტანოს ძალიან მკაცრი განაჩენი, რათა გამოსწორების საშუალება მისცეს დამნაშავეებს.	
1 სრულად ვეთანხმები პირველ მოსაზრებას	12
2 ვეთანხმები პირველ მოსაზრებას	15
3 ვეთანხმები მეორე მოსაზრებას	40
4 სრულად ვეთანხმები მეორე მოსაზრებას	25
5 არც ერთს არ ვეთანხმები	2
(არ ვიცი)	5
(უარი პასუხზე)	0

ცხრილი №12

გთხოვთ, მითხრათ, ამ ორი მოსაზრებიდან რომელს ეთანხმებით? (%) ბოლო ორი წლის მანძილზე, გქონდათ თუ არა თქვენ, თქვენი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს, ან ახლო მეგობარს რაიმე შეხება სასამართლოსთან?(%)ჭრილში მოსაზრება 1: სასამართლომ ყოველთვის კანონის სრული სიმკაცრით უნდა დასაჯოს დამნაშავეები, რათა მათგან საზოგადოება დაიცვას. მოსაზრება 2: სასამართლომ ზოგჯერ უნდა გაითვალისწინოს დანაშაულის მიზეზები და არ გამოიტანოს ძალიან მკაცრი განაჩენი, რათა გამოსწორების საშუალება მისცეს დამნაშავეებს.		
	დიახ	არა
1 სრულად ვეთანხმები პირველ მოსაზრებას	10	12
2 ვეთანხმები პირველ მოსაზრებას	10	16
3 ვეთანხმები მეორე მოსაზრებას	42	40
4 სრულად ვეთანხმები მეორე მოსაზრებას	35	24
5 არც ერთს არ ვეთანხმები	1	2
(არ ვიცი)	1	6
(უარი პასუხზე)	1	0

ცხრილი №13

საპატრულო პოლიციის მიმართ ნდობის მაჩვენებელი (%)	
5 სრულად ვენდობი	54
4	22
3	13
2	3
1 საერთოდ არ ვენდობი	5
(არ ვიცი)	3
(უარი პასუხზე)	0

ცხრილი №14

მასწავლებელთა მიმართ ნდობის მაჩვენებელი (%)	
5 სრულად ვენდობი	50
4	22
3	17
2	4
1 საერთოდ არ ვენდობი	4
(არ ვიცი)	4
(უარი პასუხზე)	0

ცხრილი №15

მოსამართლეთა მიმართ ნდობის მაჩვენებელი (%)	
5 სრულად ვენდობი	50
4	22
3	17
2	4
1 საერთოდ არ ვენდობი	4
(არ ვიცი)	4
(უარი პასუხზე)	0

ცხრილი №16

სასამართლოს მიმართ ნდობის მაჩვენებელი (%)	
5 სრულად ვენდობი	17
4	15
3	24
2	8
1 საერთოდ არ ვენდობი	17
(არ ვიცი)	18
(უარი პასუხზე)	2

ცხრილი №17

ექიმების მიმართ ნდობის მაჩვენებელი (%)	
5 სრულად ვენდობი	33
4	22
3	26
2	7
1 საერთოდ არ ვენდობი	9
(არ ვიცი)	3
(უარი პასუხზე)	0

ცხრილი №18

მოსამართლეთა მიმართ ნდობის მაჩვენებელი თქვენი აზრით, არის თუ არა ამჟამად საქართველოში დემოკრატია (%) ჭრილში		
	დიახ	არა
5 სრულად ვენდობი	27	7
4	20	11
3	21	25
2	4	11
1 საერთოდ არ ვენდობი	7	31
(არ ვიცი)	20	14
(უარი პასუხზე)	1	0

ცხრილი №19

სასამართლოს მიმართ ნდობის მაჩვენებელი თქვენი აზრით, არის თუ არა ამჟამად საქართველოში დემოკრატია (%) ჭრილში		
	დიახ	არა
5 სრულად ვენდობი	27	7
4	21	11
3	23	25
2	4	13
1 საერთოდ არ ვენდობი	6	32
(არ ვიცი)	18	11
(უარი პასუხზე)	1	1

ცხრილი №20

მოსამართლეთა მიმართ ნდობის მაჩვენებელი არსებობს სხვადასხვა მოსაზრება იმის შესახებ, თუ როგორი მიმართულებით მიდის საქართველოს საშინაო პოლიტიკა. ამ ჩამონათვალიდან რომელს ეთანხმებით? (%) ჭრილში		
	სწორია	არ არის სწორი
5 სრულად ვენდობი	26	5
4	22	8
3	21	23
2	5	12
1 საერთოდ არ ვენდობი	6	41
(არ ვიცი)	19	11
(უარი პასუხზე)	1	0

ცხრილი №21

სასამართლოს მიმართ ნდობის მაჩვენებელი არსებობს სხვადასხვა მოსაზრება იმის შესახებ, თუ როგორი მიმართულებით მიდის საქართველოს საშინაო პოლიტიკა. ამ ჩამონათვალიდან რომელს ეთანხმებით? (%) ჭრილში		
	სწორია	არ არის სწორი
5 სრულად ვენდობი	26	5
4	22	7
3	25	21
2	5	12
1 საერთოდ არ ვენდობი	6	43
(არ ვიცი)	16	10
(უარი პასუხზე)	1	2

ცხრილი №22

არსებობს სხვადასხვა მოსაზრება იმის შესახებ, თუ როგორი მიმართულებით მიდის საქართველოს საშინაო პოლიტიკა. ამ ჩამონათვალიდან რომელს ეთანხმებით? თქვენი აზრით, არის თუ არა ამჟამად საქართველოში დემოკრატია (%) ჭრილში		
	დიახ	არა
5 პოლიტიკა უეჭველად სწორი მიმართულებით მიდის	21	2
4 პოლიტიკა ძირითადად სწორი მიმართულებით მიდის	61	24
3 პოლიტიკა საერთოდ არ იცვლება	12	32
2 პოლიტიკა ძირითადად არასწორი მიმართულებით მიდის	6	35
1 პოლიტიკა უეჭველად არასწორი მიმართულებით მიდის	0	7

ცხრილი №23

პროკურატურის მიმართნდობისმაჩვენებელი გთხოვთ დაასახელოთ ქართული ტელეარხი, რომლის ინფორმაციასაც ყველაზემეტადენდობით, როდესაც საქმე ეხება პოლიტიკისა და, ზოგადად, საქართველოში მიმდინარე მოვლენების გაშუქებას **(%)**ჭრილში		
	ვენდობი რუსთავი 2-ს ან ტელეიმედს	არც ერთს არ ვენდობი
5 სრულად ვენდობი	21	6
4	16	9
3	25	21
2	7	11
1 საერთოდ არ ვენდობი	10	30
(არ ვიცი)	20	20
(უარი პასუხზე)	1	3

ცხრილი №24

პარლამენტის მიმართ ნდობის მაჩვენებელი გთხოვთ დაასახელოთ ქართული ტელეარხი, რომლის ინფორმაციასაც ყველაზე მეტად ენდობით, როდესაც საქმე ეხება პოლიტიკისა და, ზოგადად, საქართველოში მიმდინარე მოვლენების გაშუქებას **(%)**ჭრილში		
	ვენდობი რუსთავი 2-ს ან ტელეიმედს	არც ერთს არ ვენდობი
5 სრულად ვენდობი	22	3
4	17	8
3	27	27
2	8	13
1 საერთოდ არ ვენდობი	13	34
(არ ვიცი)	11	12
(უარი პასუხზე)	1	3

ცხრილი №25

მოსამართლეთა მიმართ ნდობის მაჩვენებელი ბოლო ორი წლის მანძილზე, გქონდათ თუ არა თქვენ, თქვენი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს, ან ახლო მეგობარს რაიმე შეხება სასამართლოსთან?(%)ჭრილში		
	დიახ	არა
5 სრულად ვენდობი	16	18
4	13	16
3	23	23
2	8	7
1 საერთოდ არ ვენდობი	29	15
(არ ვიცი)	11	20
(უარი პასუხზე)	1	1

ცხრილი №26

სასამართლოს მიმართ ნდობის მაჩვენებელი ბოლო ორი წლის მანძილზე, გქონდათ თუ არა თქვენ, თქვენი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს, ან ახლო მეგობარს რაიმე შეხება სასამართლოსთან?(%) ჭრილში		
	დიახ	არა
5 სრულად ვენდობი	16	17
4	13	15
3	20	25
2	11	7
1 საერთოდ არ ვენდობი	29	15
(არ ვიცი)	8	19
(უარი პასუხზე)	2	1

ცხრილი №27

რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით აზრს, რომ მოსამართლეები საქართველოში მთავრობის ინტერესებს ემსახურებიან? ბოლო ორი წლის მანძილზე, გქონდათ თუ არა თქვენ, თქვენი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს, ან ახლო მეგობარს რაიმე შეხება სასამართლოსთან?(%)ჭრილში		
	დიახ	არა
5 სრულად ვეთანხმები	32	20
4	18	17
3	21	21
2	5	6
1 საერთოდ არ ვეთანხმები	8	8
(არ ვიცი)	15	26
(უარი პასუხზე)	1	1

ცხრილი №28

რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით აზრს, რომ, ძირითადად, მოსამართლეები საქართველოში დამოუკიდებლები არიან? ბოლო ორი წლის მანძილზე, გქონდათ თუ არა თქვენ, თქვენი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს, ან ახლო მეგობარს რაიმე შეხება სასამართლოსთან?(%) ჭრილში		
	დიახ	არა
5 სრულად ვეთანხმები	10	11
4	13	18
3	22	21
2	14	9
1 საერთოდ არ ვეთანხმები	29	15
(არ ვიცი)	11	25
(უარი პასუხზე)	1	0

ცხრილი №29

მოსამართლეთა მიმართ ნდობის მაჩვენებელი, დასახლების ტიპის ჭრილში (%)					
	თბილისი	ბათუმი	ქუთაისი	ქალაქი	სოფელი
5 სრულად ვენდობი	12	18	19	17	21
4	14	17	19	16	16
3	23	19	30	22	22
2	11	6	6	8	5
1 საერთოდ არ ვენდობი	25	22	13	17	12
(არ ვიცი)	15	16	12	19	24
(უარი პასუხზე)	0	3	0	2	1

ცხრილი №30

სასამართლოს მიმართ ნდობის მაჩვენებელი დასახლების ტიპის ჭრილში (%)					
	თბილისი	ბათუმი	ქუთაისი	ქალაქი	სოფელი
5 სრულად ვენდობი	13	17	20	15	20
4	13	17	22	15	15
3	25	20	29	24	24
2	10	7	6	8	6
1 საერთოდ არ ვენდობი	25	22	12	16	12
(არ ვიცი)	13	14	11	18	21
(უარი პასუხზე)	0	3	0	4	1

ცხრილი №31

რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით აზრს, რომ, ძირითადად, მოსამართლეები საქართველოში დამოუკიდებლები არიან? დასახლების ტიპის ჭრილში (%)					
	თბილისი	ბათუმი	ქუთაისი	ქალაქი	სოფელი
5 სრულად ვენდობი	12	11	16	9	11
4	14	19	23	20	17
3	23	19	26	22	20
2	12	9	8	12	8
1 საერთოდ არ ვენდობი	28	21	15	15	10
(არ ვიცი)	10	19	12	21	33
(უარი პასუხზე)	0	1	0	2	1

ცხრილი №32

თქვენი აზრით, არის თუ არა ამჟამად საქართველოში დემოკრატია?დასახლების ტიპის ჭრილში (%)					
	თბილისი	ბათუმი	ქუთაისი	ქალაქი	სოფელი
1 დიახ	40	41	61	44	50
0 არა	46	39	34	43	29
(არ ვიცი)	13	18	5	12	20
(უარი პასუხზე)	1	2	1	1	1

ცხრილი №33

არსებობს სხვადასხვა მოსაზრება იმის შესახებ, თუ როგორი მიმართულებით მიდის საქართველოს საშინაო პოლიტიკა. ამ ჩამონათვალიდან რომელს ეთანხმებით? დასახლების ტიპის ჭრილში (%)					
	თბილისი	ბათუმი	ქუთაისი	ქალაქი	სოფელი
5 პოლიტიკა უეჭველად სწორი მიმართულებით მიდის	6	7	11	8	14
4 პოლიტიკა ძირითადად სწორი მიმართულებით მიდის	34	40	56	41	35
3 პოლიტიკა საერთოდ არ იცვლება	20	14	17	15	16
2 პოლიტიკა ძირითადად არასწორი მიმართულებით მიდის	22	13	9	15	13
1 პოლიტიკა უეჭველად არასწორი მიმართულებით მიდის	6	2	1	3	1
(არ ვიცი)	12	21	7	18	20
(უარი პასუხზე)	1	4	1	2	2

ცხრილი №34

პრეზიდენტის მიმართ ნდობის მაჩვენებელი დასახლების ტიპის ჭრილში (%)					
	თბილისი	ბათუმი	ქუთაისი	ქალაქი	სოფელი
5 სრულად ვენდობი	27	44	51	39	52
4	18	15	17	18	14
3	23	15	16	17	17
2	6	2	3	4	3
1 საერთოდ არ ვენდობი	20	13	10	13	9
(არ ვიცი)	6	7	2	6	3
(უარი პასუხზე)	0	4	1	3	1

ცხრილი №35

პრეზიდენტის მიმართ ნდობის მაჩვენებელი (%)	
5 სრულად ვენდობი	42
4	16
3	19
2	4
1 საერთოდ არ ვენდობი	13
(არ ვიცი)	4
(უარი პასუხზე)	1

ცხრილი №36

რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით აზრს, რომ მოსამართლეები საქართველოში მთავრობის ინტერესებს ემსახურებიან?(%)	
5 სრულად ვეთანხმები	22
4	17
3	21
2	6
1 საერთოდ არ ვეთანხმები	8
(არ ვიცი)	24
(უარი პასუხზე)	1

ცხრილი №37

რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით აზრს: „როდესაც ადამიანი უჩივის სახელმწიფო დაწესებულებას, მოსამართლე მიიღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფო დაწესებულების სასარგებლოდ“? **(%)**	
5 სრულად ვეთანხმები	19
4	17
3	21
2	5
1 საერთოდ არ ვეთანხმები	8
(არ ვიცი)	29
(უარი პასუხზე)	2

ცხრილი №38

თქვენი აზრით, <u>ყველაზე მეტად</u> ვისზე არიან დამოკიდებულები მოსამართლეები საქართველოში?(%)	
ეს შეკითხვა დაესვა მხოლოდ იმ რესპონდენტებს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მოსამართლეები არ არიან დამოუკიდებელნი (40%)	
1 იუსტიციის უმაღლეს საბჭოზე	1
2 პარლამენტის წევრებზე	1
3 ზემდგომ მოსამართლეებზე	5
4 პროკურორებზე	7
5 შინაგან საქმეთა სამინისტროზე	5
6 იუსტიციის სამინისტროზე	1
7 სხვა სამინისტროზე, <u>გარდა</u> შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებისა	0
8 პრეზიდენტზე	14
9 პრემიერ-მინისტრზე	0
10 უზენაეს სასამართლოზე	3
11 ევროკავშირზე	0
12 მსხვილ ბიზნესზე	0
13 მთავრობაზე	27
14 მმართველ პარტიაზე	2
15 სხვა	1
(არ ვიცი)	30
(უარი პასუხზე)	2

ცხრილი №39

თქვენი აზრით, ყველაზე მეტად ვისზე არიან დამოკიდებულები მოსამართლეები საქართველოში? ბოლო ორი წლის მანძილზე, გქონდათ თუ არა თქვენ, თქვენი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს, ან ახლო მეგობარს რაიმე შეხება სასამართლოსთან?(%) ჭრილში		
ეს შეკითხვა დაესვა მხოლოდ იმ რესპონდენტებს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მოსამართლეები არ არიან დამოუკიდებელნი (40%)		
	დიახ	არა
1 იუსტიციის უმაღლეს საბჭოზე	2	1
2 პარლამენტის წევრებზე	1	0
3 ზემდგომ მოსამართლეებზე	7	4
4 პროკურორებზე	15	5
5 შინაგან საქმეთა სამინისტროზე	4	5
6 იუსტიციის სამინისტროზე	1	1
7 სხვა სამინისტროზე, გარდა შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებისა	0	0
8 პრეზიდენტზე	14	13
9 პრემიერ-მინისტრზე	0	0
10 უზენაეს სასამართლოზე	2	3
11 ევროკავშირზე	0	0
12 მსხვილ ბიზნესზე	0	0
13 მთავრობაზე	30	27
14 მმართველ პარტიაზე	2	2
15 სხვა	1	1
(არ ვიცი)	18	33
(უარი პასუხზე)	2	2

ცხრილი №40

თქვენი აზრით, ყველაზე მეტად ვისზე არიან დამოკიდებულები მოსამართლეები საქართველოში?დასახლების ტიპისჭრილში(%)					
ეს შეკითხვა დაესვა მხოლოდ იმ რესპონდენტებს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მოსამართლეები არ არიან დამოუკიდებელნი (40%)					
	თბილისი	ბათუმი	ქუთაისი	ქალაქი	სოფელი
1 იუსტიციის უმაღლეს საბჭოზე	1	1	6	1	2
2 პარლამენტის წევრებზე	0	1		2	1
3 ზემდგომ მოსამართლეებზე	4	3	4	5	6
4 პროკურორებზე	13	9	10	7	3
5 შინაგან საქმეთა სამინისტროზე	4	2	5	5	5
6 იუსტიციის სამინისტროზე	2	1	1	1	1
7 სხვა სამინისტროზე, გარდა შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებისა	0		1	0	
8 პრეზიდენტზე	12	15	17	11	16
9 პრემიერ-მინისტრზე				1	
10 უზენაეს სასამართლოზე	2	2	4	2	4
11 ევროკავშირზე		0	0		0
12 მსხვილ ბიზნესზე		0	0		
13 მთავრობაზე	36	39	26	27	21
14 მმართველ პარტიაზე	2	2	2	2	2
15 სხვა	2	1	1	1	1
(არ ვიცი)	20	22	22	34	37
(უარი პასუხზე)	1	2	0	3	2

ცხრილი №41

რამდენად ხშირად ისჯება უდანაშაულო ადამიანი მოსამართლის მიერ დაშვებული შეცდომის შედეგად? **(%)**	
5 ყოველთვის	9
4	15
3	28
2	12
1 არასოდეს	9
(არ ვიცი)	25
(უარი პასუხზე)	1

ცხრილი №42

რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით აზრს, რომ, ზოგადად, მოსამართლეებმა საქართველოში კარგად იციან თავისი საქმე? **(%)**	
5 სრულად ვეთანხმები	25
4	24
3	23
2	4
1 საერთოდ არ ვეთანხმები	5
(არ ვიცი)	17
(უარი პასუხზე)	0

ცხრილი №43

წარმოიდგინეთ, რომ ორ მეზობელს აქვს დავა მიწის ნაკვეთის გამო. თქვენი აზრით, რამდენად <u>დამოუკიდებელი</u> იქნება მოსამართლე ასეთი დავის გადაწყვეტისას? **(%)**	
10 სრულიად დამოუკიდებელი იქნება	29
4	17
3	20
2	3
1 საერთოდ არ იქნება დამოუკიდებელი	4
(არ ვიცი)	26
(უარი პასუხზე)	2

ცხრილი №44

წარმოიდგინეთ, რომ ორ მეზობელს აქვს დავა მიწის ნაკვეთის გამო. თქვენი აზრით,რამდენად სამართლიანი იქნება მოსამართლე ორ მეზობელს შორის დავის გადაწყვეტისას?**(%)**	
5 სრულიად სამართლიანი იქნება	30
4	18
3	20
2	3
1 საერთოდ არ იქნება სამართლიანი	3
(არ ვიცი)	24
(უარი პასუხზე)	2

ცხრილი №45

წარმოიდგინეთ, რომ გაქვთ დავა რომელიმე სახელმწიფო დაწესებულებასთან ჯარიმის თაობაზე, რომელიც, თქვენი აზრით, არ დაგიმსახურებიათ. თქვენი აზრით, რამდენად სამართლიანი იქნება მოსამართლე ასეთი დავის გადაწყვეტისას? **(%)**	
5 სრულიად სამართლიანი იქნება	15
4	15
3	19
2	9
1 საერთოდ არ იქნება სამართლიანი	11
(არ ვიცი)	28
(უარი პასუხზე)	2

ცხრილი №46

გსმენიათ თუ არა „საპროცესო შეთანხმების“ შესახებ, ანუ როდესაც ბრალდებული თანამშრომლობს გამოძიებასთან, აღიარებს ბრალს და ამისათვის უფრო მსუბუქ სასჯელს იღებს? (%)	
1 დიახ	59
0 არა	34
(არ ვიცი)	7
(უარი პასუხზე)	1

ცხრილი №47

რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით აზრს, რომ საპროცესო შეთანხმება ხელს უწყობს სასამართლოს განაჩენების სამართლიანობას? (%)	
ეს შეკითხვა დაესვა მხოლოდ იმ რესპონდენტებს, რომელთაც განაცხადეს, რომ სმენიათ საპროცესო შეთანხმების შესახებ - 59%	
5 სრულად ვეთანხმები	22
4	20
3	20
2	6
1 საერთოდ არ ვეთანხმები	16
(არ ვიცი)	16
(უარი პასუხზე)	0

ცხრილი №48

რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით აზრს, რომ საპროცესო შეთანხმება საშუალებას აძლევს ბრალდებულს, ფულის გადახდის მეშვეობით თავიდან აიცილოს პატიმრობა? **(%)**	
ეს შეკითხვა დაესვა მხოლოდ იმ რესპონდენტებს, რომელთაც განაცხადეს, რომ სმენიათ საპროცესო შეთანხმების შესახებ - 59%.	
5 სრულად ვეთანხმები	38
4	25
3	17
2	4
1 საერთოდ არ ვეთანხმები	8
(არ ვიცი)	8
(უარი პასუხზე)	0

ცხრილი №49

რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით აზრს, რომ საპროცესო შეთანხმება ხელს უწყობს სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებას? (%)	
ეს შეკითხვა დაესვა მხოლოდ იმ რესპონდენტებს, რომელთაც განაცხადეს, რომ სმენიათ საპროცესო შეთანხმების შესახებ - 59%.	
5 სრულად ვეთანხმები	58
4	19
3	10
2	2
1 საერთოდ არ ვეთანხმები	3
(არ ვიცი)	7
(უარი პასუხზე)	0

ცხრილი №50

რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით აზრს: „პრობლემის სასამართლომდე მიტანა მხოლოდ გაართულებს საქმეს**" (%)**	
5 სრულად ვეთანხმები	13
4	14
3	23
2	7
1 საერთოდ არ ვეთანხმები	17
(არ ვიცი)	24
(უარი პასუხზე)	1

ცხრილი №51

გთხოვთ, მითხრათ, ამ ორი მოსაზრებიდან რომელს ეთანხმებით? მოსაზრება 1: ორ მეზობელს შორის რაიმე დავის მოგვარება ყველაზე კარგად მოხერხდება სასამართლოს მეშვეობით. მოსაზრება 2: ორ მეზობელს შორის რაიმე დავის მოგვარება ყველაზე კარგად მოხერხდება „შინაურულად", სასამართლოს გარეშე (%)	
1 სრულად ვეთანხმები პირველ მოსაზრებას	6
2 ვეთანხმები პირველ მოსაზრებას	8
3 ვეთანხმები მეორე მოსაზრებას	47
4 სრულად ვეთანხმები მეორე მოსაზრებას	33
5 არც ერთს არ ვეთანხმები	2
(არ ვიცი)	4
(უარი პასუხზე)	0

ცხრილი №52

რამდენად <u>სამართლიანი</u> იქნება მოსამართლე ორ მეზობელს შორის დავის გადაწყვეტისას? **(%)**	
5 სრულიად სამართლიანი იქნება	30
4	18
3	20
2	3
1 საერთოდ არ იქნება სამართლიანი	3
(არ ვიცი)	24
(უარი პასუხზე)	2

ცხრილი №53

თქვენი აზრით, რამდენად სამართლიანად მოგვარდება დავა ორ მეზობელს შორის, <u>თუ ისინი სასამართლოს გარეშე, „შინაურულად“ ეცდებიან მის მოგვარებას</u> - მაგალითად, მიმართავენ საერთო ნაცნობს? **(%)**	
5 სრულიად სამართლიანად მოგვარდება	35
4	20
3	17
2	4
1 საერთოდ ვერ მოგვარდება სამართლიანად	5
(არ ვიცი)	19
(უარი პასუხზე)	1

ცხრილი №54

არანაირი შეხება სასამართლოსთან ბოლო 2 წლის განმავლობაში (%)	
1 დასახელდა	84
0 არდასახელებულა	14
(არ ვიცი)	2
(უარი პასუხზე)	0

ცხრილი №55

ვის სასარგებლოდ იქნა გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილება? **(%)**	
ესშეკითხვადაესვამხოლოდიმრესპონდენტებს, რომელთაცგარკვეულისახისშეხებაჰქონდათსასამართლოსთანბოლო 2 წლისგანმავლობაშიდავისისაქმისსასამართლოგანხილვაცუკვედასრულებულია	
1 რესპონდენტის / მისი ახლობლის მხარის სასარგებლოდ	34
2 მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ	46
3 მიღწეულ იქნა შეთანხმება საქმეზე (მორიგება ან საპროცესო შეთანხმება)	9
4 სასამართლოს გადაწყვეტილება არ გამოუტანია (საქმე შეწყდა)	3
5 სხვა	5
(არ ვიცი)	2
(უარი პასუხზე)	2

ცხრილი №56

თქვენი აზრით, რამდენად <u>სამართლიანი</u> იყო სასამართლოს გადაწყვეტილება? **(%)**	
ეს შეკითხვა დაესვა მხოლოდ იმ რესპონდენტებს, რომელთაც გარკვეული სახის შეხება ჰქონდათ სასამართლოსთან ბოლო 2 წლის განმავლობაში და ვისი საქმის სასამართლო განხილვაც უკვე დასრულებულია	
5 სრულიად სამართლიანი იყო	40
4	9
3	10
2	6
1 საერთოდ არ იყო სამართლიანი	27
(არ ვიცი)	5
(უარი პასუხზე)	3

ცხრილი №57

კანონის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტს აქვს უფლება, დაითხოვოს უზენაესი სასამართლო **(%) (**არ არის სწორი**)**	
1 სწორია	36
0 არ არის სწორი	26
(არ ვიცი)	38
(უარი პასუხზე)	1

ცხრილი №58

კანონის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს აქვს უფლება, გააუქმოს საქართველოს ნებისმიერი სხვა სასამართლოს გადაწყვეტილება**(%) (**სწორია**)**	
1 სწორია	42
0 არ არის სწორი	20
(არ ვიცი)	37
(უარი პასუხზე)	0

ცხრილი №59

როდესაც საქართველოს მართლმსაჯულებაზე ფიქრობთ, ამ ბარათზე მოყვანილი დაწესებულებებიდან რომელი გახსენდებათ ყველაზე ხშირად**(%)**	
1 იუსტიციის სამინისტრო	8
2 სახალხო დამცველი	13
3 ადვოკატთა ასოციაცია	12
4 პოლიცია	41
5 უზენაესი სასამართლო	14
6 ადამიანის უფლებათა ცენტრი	9
7 ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	5
8 იუსტიციის უმაღლესი საბჭო	2
9 პროკურატურა	25
10 პარლამენტი	4
11 შინაგან საქმეთა სამინისტრო	10
12 პრეზიდენტი	6
13 სასამართლო	44
14 საკონსტიტუციო სასამართლო	3
15 პატრული	21
16 სხვა	1
(არ ვიცი)	12
(უარი პასუხზე)	1

ცხრილი №60

გსმენიათ თუ არა სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი უფასო იურიდიული დახმარების (სახაზინო ადვოკატის) შესახებ**? (%)**	
1 დიახ	53
0 არა	41
(არ ვიცი)	5
(უარი პასუხზე)	1

ცხრილი №61

გსმენიათ თუ არა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი უფასო იურიდიული დახმარების შესახებ? **(%)**	
1 დიახ	30
0 არა	63
(არ ვიცი)	6
(უარი პასუხზე)	1

ცხრილი №62

გსმენიათ თუ არა სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი უფასო იურიდიული დახმარების (სახაზინო ადვოკატის) შესახებ?(%)	
იმ რესპონდენტების მონაცემები,რომელთაც განაცხადეს, რომ პირადად მათ, ასევე მათ ახლო ნათესავს ან ახლო მეგობარს რაიმე სახის შეხება ჰქონდა სასამართლოსთან, ბოლო 2 წლის განმავლობაში (14%).	
1 დიახ	75
0 არა	23
(არ ვიცი)	2
(უარი პასუხზე)	0

ცხრილი №63

გსმენიათ თუ არა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი უფასო იურიდიული დახმარების შესახებ?**(%)**	
იმ რესპონდენტების მონაცემები, რომელთაც განაცხადეს, რომ პირადად მათ, ასევე მათ ახლო ნათესავს ან ახლო მეგობარს რაიმე სახის შეხება ჰქონდა სასამართლოსთან, ბოლო 2 წლის განმავლობაში (14%).	
1 დიახ	43
0 არა	53
(არ ვიცი)	4
(უარი პასუხზე)	0

ცხრილი №64

რამდენად კარგად ეხმარება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი უფასო იურიდიული დახმარება თქვენნაირ ადამიანებს? **(%)**	
იმ რესპონდენტების მონაცემები, რომელთაც განაცხადეს, რომ პირადად მათ, ასევე მათ ახლო ნათესავს ან ახლო მეგობარს რაიმე სახის შეხება ჰქონდა სასამართლოსთან, ბოლო 2 წლის განმავლობაში(14%).	
5 ძალიან ეხმარება ადამიანებს	15
4	17
3	26
2	6
1 საერთოდ ვერ ეხმარება ადამიანებს	10
(არ ვიცი)	26
(უარი პასუხზე)	0

ცხრილი №65

რამდენად კარგად ეხმარება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი უფასო იურიდიული დახმარება თქვენნაირ ადამიანებს? (%)	
5 ძალიან ეხმარება ადამიანებს	21
4	20
3	24
2	4
1 საერთოდ ვერ ეხმარება ადამიანებს	6
(არ ვიცი)	24
(უარი პასუხზე)	0

ცხრილი №66

გსმენიათ თუ არა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების შესახებ საქართველოში? (%)	
1 მსმენია	56
0 არ მსმენია	39
(არ ვიცი)	5
(უარი პასუხზე)	0

ცხრილი №67

თქვენი აზრით, რა შედეგი ექნება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებას საქართველოში? **(%)**	
ეს შეკითხვა დაესვა მხოლოდ იმ რესპონდენტებს, რომელთაც განაცხადეს, რომ სმენიათ საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების შესახებ - 56%	
1 ხელს შეუწყობს უფრო სამართლიანი განაჩენების გამოტანას	65
2 ვერ შეუწყობს ხელს უფრო სამართლიანი განაჩენების გამოტანას	7
3 არაფერი არ შეიცვლება	15
(არ ვიცი)	13
(უარი პასუხზე)	0

ცხრილი №68

გამოგიძახიათ თუ არა ოდესმე საპატრულო პოლიცია?**(%)**	
1 დიახ	7
0 არა	93
ვცადე გამოძახება, მაგრამ ვერ დავუკავშირდი	0
(არ ვიცი)	0
(უარი პასუხზე)	0

ცხრილი №69

ნდობის მაჩვენებელი**... (%)**		
	პოლიციისადმი	საპატრულო პოლიციისადმი (პასუხისმგებელია წესრიგის დაცვაზე ქალაქის ქუჩებში, გზებსა და გზატკეცილებზე
5 სრულად ვენდობი	43	54
4	18	22
3	20	13
2	4	3
1 საერთოდ არ ვენდობი	9	5
(არ ვიცი)	5	3
(უარი პასუხზე)	1	0

ცხრილი №70

რამდენად გაინტერესებთ ის, რაც საქართველოს სასამართლოებში ხდება? **(%)**	
5 ძალიან მაინტერესებს	18
4	14
3	28
2	11
1 საერთოდ არ მაინტერესებს	22
(არ ვიცი)	6
(უარი პასუხზე)	0

ცხრილი №71

რამდენად გაინტერესებთ ის, რაც საქართველოს სასამართლოებში ხდება? **(%)**	
იმ რესპონდენტების მონაცემები, რომელთაც განაცხადეს, რომ პირადად მათ, ასევე მათ ახლო ნათესავს ან ახლო მეგობარს რაიმე სახის შეხება ჰქონდა სასამართლოსთან, ბოლო 2 წლის განმავლობაში(14%)	
5 ძალიან მაინტერესებს	31
4	18
3	29
2	6
1 საერთოდ არ მაინტერესებს	15
(არ ვიცი)	1
(უარი პასუხზე)	0

ცხრილი №72

თქვენი აზრით, რა არის ამჟამად ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა საქართველოსთვის? (%)	
1 გაწევრიანება ნატოში	5
2 კორუფცია	2
3 დაბალი პენსიები	18
4 რუსეთთან ურთიერთობა	11
5 საკუთრების უფლების დაცვა	1
6 არჩევნების სამართლიანობა	3
7 უმუშევრობა	78
8 სასამართლოს დამოუკიდებლობა	3
9 სიტყვის თავისუფლება	2
10 ადამიანის უფლებების დაცვა	6
11 სიღარიბე	47
12 ტერიტორიული მთლიანობა	28
13 ფასების ზრდა	38
14 ხელმისაწვდომი ჯანდაცვა	14
15 დაბალი ხელფასები	11
16 ჟურნალისტების დამოუკიდებლობა	0
17 განათლების ხარისხი	6
18 გაწევრიანება ევროკავშირში	0
19 პოლიტიკური სტაბილურობა საქართველოში	6
20 *სხვა*	4
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

ცხრილი №73

წარმოიდგინეთ, რომ თქვენს შვილს სურს გახდეს იურისტი. მოიწონებდით თუ არა მის არჩევანს? **(%)**	
1 მოვიწონებდი	67
0 არ მოვიწონებდი	12
არ მიესადაგება	11
(არ ვიცი)	10
(უარი პასუხზე)	1

ცხრილი №74

რამდენად ენდობით ან არ ენდობით საქართველოს პროკურორებს? **(%)**		
	სასამართლოსთან ურთიერთობის გამოცდილების მქონე რესპონდენტები	მოსახლეობა
5 სრულად ვენდობი	13	17
4	10	13
3	21	23
2	12	8
1 საერთოდ არ ვენდობი	31	17
(არ ვიცი)	10	20
(უარი პასუხზე)	3	2